პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1975 შაბათი 12 აპრილი № 86 (16212) ფასი 2 კაპ. 1975

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 თებერვლიდან

დღეის სწორს—შაბათობაზე!

ყველა, ვინც ზეგზეგმეი რაგორც ერთი ადამიანი ფრონტზეა.

თბილისი. კომუნისტური შაბათობის ამ წინა დღეებში ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის კოლექტივს ვესტუმრეთ. როგორც ყველგან, აქაც შაბათობისათვის დიდი სამზადისია.

—ჩვენს ქარხანას შაბათობების მოწყობის კარგი ტრადიცია აქვს, — გვითხრა პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ დმიტრი ახვლედიანმა, — მაგრამ წლიულს განსაკუთრებული. აღმავლობით ჩავატარებთ ამ ღონისძიებას. ქარხნის კოლექტივმა დასახა კონკრეტული ამოცანა — შაბათობაზე გამოვა 1.250 მუშა-მოსამსახურე, გამოვუშვებთ 35.000 მანეთის საერთო ღირებულების პროდუქციას.

ამ დღეს ჩვენი კოლექტივი გამოუშვებს 90 ტონა თუჯისა და 25 ტონა ფოლადის სხმულებს, გამომუშავებული ხელფასი 3.200 მანეთი ხუთწლედის ფონდში გადაირიცხება.

ძირითად სამუშაოთა გარდა ქარხნის კოლექტივი იშრომებს ტერიტორიის, საამქროების კეთილმოწყობისათვის. საწარმოს ტერიტორიაზე დარგულება 100 ძირი ხე და ბუჩქი.

რ. ურუშაძე.

რუსთავი. (საკ. კორ.). მეტალურგებმა ფართო სამზადისი გააჩაღეს კომუნისტური შაბათობის ორგანიზებულად ჩატარებისათვის. ამ დღეს სამუშაოდ გამოვა სპეციალურ ხალათებში გამოწყობილი 3.500 კაცი. წინასწარი ვარაუდით ისინი გამოიმუშავებენ 7.000 მანეთისაზე მეტი ღირებულების პროდუქციას. გამომუშავებული ხელფასი მთლიანად გადაირიცხება ხუთწლედის ფონდში.

მეტალურგებმა გადაწყვიტეს, კომუნისტური შაბათობის დღეს გაარემონტონ ერთი ორთქლმავალი, ოთხი ვაგონი, ერთი კილომეტრი რკინიგზის ხაზი, სამი ხიდური ამწე, გამოიმუშაონ 500 დაზგა-საათი და 200.000 კილოვატ-საათი ზეგეგმითი ელექტროენერგია, დარგონ 1.000 ძირი ხე და ბუჩქი.

ნავარაუდევია აგრეთვე, რომ შაბათობის დღეს გეგმის გადამეტებით გამოუშვან 100 ტონა კოქსი, ამდენივე თუჯი და მილი, 200 ტონა ფოლადი, ამდენივე ნაგლინი.

ზ. მერკვილაძე.

ტრადიციულად

ბითურა. დამკვიდრებული ტრადიციის მიხედვით დიდი სამზადისია ლენინური შაბათობისათვის მაღაროელთა ქალაქში. შეიქმნა შაბათობის მომწყობი საქალაქო შტაბი, უკვე დაზუსტდა შესასრულებელ სამუშაოთა გეგმები, მონაწილეთა სიები, წარმოებადაწესებულებებში შეიქმნა შაბათობის ხელმძღვანელობის ჯგუფები.

უკვე მოეწყო მასობრივი საქალაქო შაბათობა, შესრულდა სამუშაოები ქუჩების შესაკეთებლად, ბაღების, სკვერებისა და გზონების კეთილმოსაწყობად, დაირგო ათასობით მარადმწვანე მცენარე. შესანიშნავი თანასობა გამოიჩინეს ქალაქის სკოლების მოსწავლეებმა, რომლებმაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს ქალაქის კეთილმოწყობაში.

შრომის დიდი ზეიმისათვის აქტიურად გაჩაღდა მუშაობა საწარმოებსა და დაწესებულებებში, მაღაროელებმა 19 აპრილი დამკვრელური შრომის დღედ გამოაცხადეს. გამომუშავებული იქნება 200 ათასი მანეთის პროდუქცია.

მარტო ლენინის სახელობის მაღაროთა სამმართველოში 19 აპრილს სამუშაოდ გამოვა 1.400 კაცი. ამ დღეს გამომუშავებული იქნება 39.000 მანეთის ღირებულების პროდუქცია, ლენინელი მაღაროელები ხუთწლედის ფონდში გადარიცხავენ 4.203 მანეთს.

ს. კუპატაძე,
„კომუნისტის“ კორ.



ჩვენი ოლვანე საუნჯე

ბაზაფხული და შემოდგომა ჩვენი გარემოს დიდი საუნჯის — ფლორის აღდგენისა და განახლების, გამრავლებისა და გაჯანსაღების საუკეთესო დროა. წელიწადის ამ პერიოდში ბუნებას განსაკუთრებით სჭირდება ადამიანის სათუთი და გონიერი დამოკიდებულება.

დედამიწაზე საერთოდ ატმოსფეროს და, კერძოდ, კლიმატის ეს ცვალებადი და გარდამავალი პერიოდი ყოველთვის დიდ საზრუნავს უქმნიდა ადამიანს, ბეჯით გარჯასა და შრომას მოითხოვდა მისგან. ასე იყო ყოველთვის, მაგრამ ახლა გარემოს განახლების, მოვლა-პატრონობის, მისი გაკეთილშობილებისათვის შრომა, ბრძოლა და მოღვაწეობა უფრო მიზანსწრაფულად, ინტენსიურად, საერთოდ პოლიტიკური კლიმატის გაჯანსაღებასთან ერთად გეგმაზომიერად მიმდინარეობს ჩვენს რესპუბლიკაში.

ამ ორი წლის წინათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მთავრობამ მიიღეს დიდმნიშვნელოვანი დადგენილება თბილისისა და რუსთავის მწვანე ზონის გაფართოების, გარემოს გაჯანსაღებისა და მშრომელთა მასობრივი დასვენების პირობების გაუმჯობესების შესახებ. დადგენილებაში, როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, დასახულია უმნიშვნელოვანესი ამოცანები ამ სახელმწიფოებრივი და სახალხო საქმის განვითარებისათვის. ამ დოკუმენტით გათვალისწინებულია უახლოეს 15-20 წლის განმილზე მოსახლეობის ზრდისა და მრეწველობის განვითარების პერსპექტივა. მისი მთავარი და კეთილშობილური მიზანია ძირეულად გაუმჯობესდეს ხატეული მეურნეობის გაძღოლა თბილისისა და რუსთავის ზონებში და შეიქმნას მშრომელთა მასობრივი დასვენების ხელშემწყობი პირობები.

ამ დიდი ამოცანების ხორცშესხმის საქმეში მოსაწონი და უდავოდ სასიამოვნოა იმ პარტიულ და სამეურნეო ორგანიზაციათა საქმიანობა, რომლებიც მნიშვნელოვან მუშაობას ეწევიან თბილისისა და რუსთავის მწვანე ზონის განვითარებისათვის. მარტო თბილისში შარშან გაზაფხულზე 894 ათასზე მეტი ხე და ბუჩქი დაირგო. მნიშვნელოვანი სამუშაოები შესრულდა ტყის აღდგენისათვის. განსოფლიელდა ბარეული სხვა ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსი, რაც ხელს შეუწყობს დასახული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტას.

კარგი ინიციატივა გამოიჩინეს სიღნაღელმა მშრომელებმა, რომლებმაც შარშან თბილისში ანაგის ქუჩა გაამწვანეს. მერე კი ბაშურელმა მშრომელებმა გამოიჩინეს სიბეჯითე და 2.300 მცენარე შეატეხ დედაქალაქის მწვანე სამოსელს. შემდეგ მახარაძელებმა იყოჩაღეს — ავტომანქანებით დიდძალი კედლის ნერგები ჩამოიტანეს და დარგეს ქალაქის ტერიტორიაზე.

ყველასათვის ნათელი და გასაგებია ჩვენს ქალაქებში და მათს გარშემო მწვანე სამოსელის გამრავლების მნიშვნელობა. ამ საქმის წარმატებით დაგვირგვინება მარტო უცხო დამპყრობთა შემოსევების დროს გაჩანაგებული იმ ძველი, დიდებული ტყეების აღდგენისათვის გაწეული პატრიოტული შრომა კი არ იქნება, არამედ ეს სამუშაოები აუცილებელია ჩვენი ადამიანის ჯანმრთელობისათვის, მათი კეთილდღეობისათვის. იგი ნაკარნახევია თანამედროვე ცხოვრების მოთხოვნით, მშრომელთა ფართო მასების სასიცოცხლო ინტერესებით.

ერთი სიტყვით, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარება, ინდუსტრიის წინსვლა საჭიროს ხდის გარემოს დაცვისა და შემდგომი სრულყოფის აუცილებლობას. ეს დღეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკაცობრიო პრობლემაა და ამიტომ არის, რომ კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას ეს სახალხო საქმე უპირველეს საპატიო ამოცანად მიაჩნია. ცხადია, ამაშიც მკაფიოდ ჩანს საბჭოთა ადამიანისადმი დიდი ზრუნვა, მისი კეთილდღეობისათვის ფიქრი, შრომა და მოღვაწეობა. სწორედ ამიტომაც იყო, რომ ჩვენს რესპუბლიკაში შეიქმნა მძლავრი ორგანიზაცია — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტი, რომელმაც უდიდესი სახელმწიფოებრივი და სახალხო მნიშვნელობის სამუშაოები უნდა გასწიოს ჩვენი გარემოს სიჯანსაღის, მშრომელთა კეთილდღეობისათვის. გარემოს მოვლა უნდა და ამ საპატიო საქმეს სწორედ ეს სახელმწიფო ორგანო ჩაუდგა სათავეში.

ახლა, გაზაფხულის ამ დროს ხეების რგვის და საერთოდ ფლორის განახლებგაჯანსაღების საუკეთესო პერიოდია. ამიტომ ეს დრო ისე მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ, რომ ხეებისა და ბუჩქების რგვა, ახალი ტყეების მასივების გაშენება, ქალაქებსა და სოფლებში მწვანე ზონების შექმნისათვის მუშაობა ორგანიზებულად და საქმიანად მიმდინარეობდეს.

ამ საქმეში უნდა ჩავაბათ სოფლისა და ქალაქის მშრომელთა ფართო მასები. ამ სამუშაოებს სათავეში უნდა ჩაუდგნენ საწარმოთა და დაწესებულებათა პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციები, საბინაო-საექსპლოატაციო კანტორები. ერთი სიტყვით, ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისათვის, რომ თვითეულმა მშრომელმა თავის სახელზე თითო ძირი ხე დარგოს და მოუაროს, მოამძლავროს და მცენარედ აქციოს იგი.

რედაქციაში უკვე მოდის ცნობები, რომ თბილისში, ქუთაისში, რუსთავში, აფხაზეთში, აჭარაში, სამხრეთ ოსეთში, საქართველოს სხვა ქალაქებსა და რაიონებში, სამრეწველო ცენტრებში უკვე მასობრივად რგავენ. ზოგან კი ემზადებიან ხეების რგვისათვის. ბევრგან მიმდინარეობს გასატყეევებელი ადგილებში ორმოების მომზადება, იძენენ მიწის სამუშაო იარაღებსა და ყალიბდება რაზმები, ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა მიმდინარეობს ახალგაზრდობაში. ჩვენი მშრომელები განსაკუთრებით ემზადებიან იმისათვის, რომ მასობრივი შაბათობის დღეს — 19 აპრილს დიდძალი „მწვანე მეგობარი“ შეხვდინონ გარემოს, ჩვენს ქალაქებსა და სოფლებს.

ამასთან ერთად საჭირო და აუცილებელია გავიხსენოთ და გამოვიყენოთ ბუნების გაჯანსაღების საქმეში შარშანდელი გამოცდილება, გავითვალისწინოთ ხარვეზებიც, ნაკლოვანებებიც, რომლებიც მუშაობაში გვქონდა. ეს ნაკლოვანებები ძირითადად შეიმჩნეოდა მცენარეების დაგვიანებით დარგვაში, მის მოვლა-პატრონობაში. მაგალითად, თბილისის ზოგიერთ პარკსა და ცალკეულ ადგილებში მცენარეები დასარგავად მაისის ბოლოს, ძალზედ მცხუნვარე დღეებში მიიტანეს. ერთი სიტყვით, მცენარეები დარგეს, ვალი მოიხადეს, გეგმა შეასრულეს და ის კი არ იფიქრეს, გაიხარებდა თუ არა.

ახალი ტყეების გაშენების, ხეებისა და ბუჩქების რგვისათვის დიდ ორგანიზატორულ მუშაობასთან ერთად საჭიროა მოსახლეობაში ფართო ახსნა-განმარტების გაჩაღება იმ მიზნით, რომ თვითეულ ადამიანს კიდევ უფრო განვუმტკიცოთ ბუნებისა და საერთოდ გარემოს სიყვარული, თვითეულ ჩვენგანს, ყოველ მშრომელს კარგად უნდა ესმოდეს: საკუთარი ხელით გაშენებული ხეები ტყეებად რომ იზრიალებს, ჩვენი შვილების, შვილიშვილების საამოდ და საკეთილდღეოდ იქნება. ისინი გაიხარებენ, გაჯანსაღდებიან და გულთბილი მადლობის სიტყვებით მოგვიგონებენ სიკეთისათვის, გულითადი ზრუნვისათვის.

ვისაც სურს იყოს თავისი მოულის, თავისი ქვეყნის ღირსეული მოქალაქე, უპირველეს მოვალეობად უნდა გაიხადოს ბუნების განახლების, გამრავლების, გარემოს გაჯანსაღებისათვის ბრძოლა და შრომა.

ერთი სიტყვით, საქმე იმას ეხება, რომ ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა, საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა მშრომელთა ფართო მასები დარაზმონ იმ ღონისძიებათა განხორციელებისათვის საბრძოლველად, რომლებიც ხელს შეუწყობს კეთილშობილური მიზნის მიღწევას — მწვანე ნარგაევების გამრავლებასა და ბუნების დაცვას, ტყეებისა და პარკების გაფართოებასა და გამდიდრებას, საერთოდ გარემოს დაცვისა და გაუმჯობესების სახალხო მნიშვნელობის საქმეს.

ფოთიდან—საზღვარგარეთ

„კომეტამ“ მოხიგლა...

ფოთი. (საკ. კორ.). თურქეთის ქალაქ ოზმირსა და ინგლისის დედაქალაქ ლონდონში მოწყობილი მსოფლიო გამოფენებზე მაღალი შეფასება დაიმსახურა ფოთის სერგო ორჯონიკიძის სახელობის გემთშემკეთებელ ქარხნაში აგებულმა წყალქვეშაფრთიანმა. 116-ადგილიანმა სამგზავრო გემმა „კომეტამ“.

დიდი კაპიტალისტური სახელმწიფოების ფირმები აღიარებენ „კომეტის“ უპირატესობას ამ ტიპის სხვა სამგზავრო გემების წინაშე, მაგალითად, ინგლისურ ხომალდებთან შედარებით, ამიტომ ხშირად ჩამოდიან ფოთში და ქარხანასთან დებენ ხელშეკრულებებს — „კომეტა“ შეიძინეს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, იტალიამ, საფრანგეთმა, იუგოსლავიამ, პოლონეთმა, ბულგარეთმა.

შარშან ქარხნიდან „კომეტები“ ხელშეკრულების მიხედვით გაიგზავნა პოლონეთში ბულგარეთში, იტალიასა და ინგლისში, წლიულს კი ინგლისიდან კვლავ მიიღეს შეკვეთა ხომალდზე.

დირექტორმა ზ. ბერაძემ ჩვენთან საუბარში თქვა, რომ ქარხანაში ინერგება მუშაობის ახალი სტილი და მეთოდები. მალე ქარხანა გამოუშვებს ახალი ტიპის, ორსართულიან თბომავალს 250 მგზავრისათვის.

აქ არემონტებენ აგრეთვე შორეული ნაოსნობიდან დაბრუნებულ დიდ საოკეანო თევზსაჭერ ტრაულერებს.

„კომეტას“ ძირითადად გემთსამშენებლო საამქროში აწყობენ. საამქროს უფროსს მიხეილ ბაკმანს და მის მოადგილეს ჯემალ ცომაიას საჭიროდ მიაჩნიათ აღნიშნონ, რომ ახალი ტიპის გემის აშენებაში საამქროს მთელი კოლექტივი მონაწილეობს, მაგრამ მაინც განსაკუთრებული შექების ღირსნი არიან მშენებლები დავით ხარაზიშვილი და ვახტანგ ზოდელავა, გემის ამწყობები ალექსანდრე ბალნერი, ჯემალ სილოგავა, რომან ეკიბია, შემდუღებელი ალექსანდრე კოსტურენკო, ზეინკალ-მონტაჟიერები აბესალომ დავითაშვილი, გურამ არზიანი, დურგალი ჯემალ წულაია და სხვები.

120-125 პროცენტი! — ასეთია თვითეული მათგანის ყოველდღიური დაკალების შესრულების მაჩვენებელი.

გ. ნოდია.

ხურათებზე: (ზემოთ)—ფოთის ორჯონიკიძის სახელობის გემთშემკეთებელ ქარხანაში ამზადებენ მორიგ 116-ადგილიან „კომეტას“ საქარხნო გამოცდისათვის. (ქვემოთ) — № 16 გემმშენებელი საამქროს მოწინავე ელექტროშემდუღებელი კომუნისტი რ. სიგუა, რომელიც ყოველდღიურად გადაჭარბებით ასრულებს საწარმოო დავალებას.

ს. ჯილაძის ფოტო.

ახალი საამქრო

სახელმწიფო კომისიამ ხელი მოაწერა აქტს რუსთავის ქიმიურ კომბინატში მანგანუმის აქტიური ელექტროლიზური ორჟანგის საამქროს საექსპლოატაციოდ გადაცემის შესახებ.

მანგანუმის აქტიური ელექტროლიზური ორჟანგის მიღების ტექნოლოგია შეიმუშავა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტმა რუსთავის ქიმიურ კომბინატთან ერთად. (საქინფორმი).

200
მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქცია —გეგმის გადამეტებით!
ეს ჩვენი რესპუბლიკის სახელისა და ღირსების საქმეა!
ხუთწლედის დამლევამდე
263 დღე დარჩა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

საბინაო მშენებლობას — შეუნელებელი ყურადღება

ასეთ ჩამორჩენას ეერავითარი ობიექტური მიზეზით ვერ გავამართლებთ: შარშან ხომ წლევანდელი წლისათვის 312 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობის მარაგნამეტი შეიქმნა, რაც ცოტა არ არის.

სამართლიანად გაკიცხეს მშენებელთა საქმიანობა კაპიტალურ დაბანდებათა თვისების საქმეშიც. ამ მაჩვენებლის მიხედვით კვარტალური გეგმა 87 პროცენტით შესრულდა, აუთვისებელი 4.2 მილიონი მანეთი დარჩა, 53 მშენებლობის მფარმოებელი ორგანიზაციიდან 25 და მეტი პროცენტით წლიური პროგრამა მხოლოდ ათმა შეასრულა.

შრომითი რიტმის ჩამორჩენის ძირითადი მიზეზი ის არის, რომ წლის დამდეგიდან სამუშაოთა ორგანიზაცია არ იყო ჯეროვნად მწყობრი. ამისათვის პასუხისმგებელმა მთელი რიგი სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებმა ერთგვარად შეასუსტეს ყურადღება საექსპლოატაციოდ საცხოვრებელი ფართობის გადაცემისადმი, ამ საქმეს სათანადო კონტროლს არ უწევდნენ ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები. აღინიშნა, რომ წარმატებას მხოლოდ მაშინ მივაღწევთ, თუ ყოველდღიურ, შეუნელებელ კონტროლს გავუწევთ მშენებლობის მიმდინარეობას, ყოველნაირად დავეხმარებით მშენებლებს, შევამუშავებთ და განუხრელად დავიცავთ თვითეული სახლის სამუშაოთა გრაფიკს.

თათბირზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საცხოვრებელი სახლების ხარისხის საკითხს. მშენებელთა ორგანიზებულობა, მკაცრი შრომითი და საწარმოო დისციპლინა უნდა განმტკიცდეს ყველა სამინისტროს და უწყების აქტიური დახმარებით, რომლებსაც შეუძლიათ გაკლენა მოახდინონ საცხოვრებელი სახლების ხარისხის გაუმჯობესებაზე, უზრუნველყონ მათი მშენებლობისა და საექსპლოატაციოდ გადაცემის მწყობრი რიტმი.

თათბირზე გამოსულმა სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციების, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებმა, პარტიულმა და საბჭოთა მუშაკებმა, განიხილეს რა სამუშაოთა ტემპის დაჩქარებისა და ხარისხის გაუმჯობესების კონკრეტული გზები, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და რესპუბლიკის მთავრობას აღუთქვეს, რომ წლის პირველი ნახევრის დამლევამდე საბინაო მშენებლობის მდგომარეობა აუცილებლად გამოსწორდება.

თათბირზე გამოვიდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. მ. ლაბახუა.

თათბირის შედეგები შეაჯამა ზ. ა. პატარიძემ. (საქინფორმი).

ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის დოკუმენტებს

11 აპრილს მოსკოვში კრემლის დიდ სასახლეში ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის დოკუმენტებს, სსრ კავშირისა და იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობათა შეთანხმებას ატომური ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების დარგში თანამშრომლობის შესახებ. თავიანთი მთავრობების დავალებით ხელი მოაწერეს საგარეო ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ს. ა. სკაჩკოვმა და იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის საკავშირო აღმასრულებელი ვეჩის წევრმა გ. უბიპარიპამ.

დოკუმენტების ხელმოწერას ესწრებოდნენ:

საბჭოთა კავშირის მხრივ — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, ამხანაგები კ. ტ. მაზუროვი, დ. ს. პოლიანსკი, კ. თ. კატუშევი, სხვა ოფიციალური პირნი.

იუგოსლავიის მხრივ — იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის საკავშირო აღმასრულებელი ვეჩის თავმჯდომარე ჯ. ბიედიჩი, იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის სამეურნეო პალატის თავმჯდომარე ი. ვაკიჩი, სერბეთის სოციალისტური რესპუბლიკის აღმასრულებელი ვეჩის თავმჯდომარე დ. ჩკრებიჩი, იუგოსლავიის სხვა სახელმწიფო მოღვაწენი. (საკდესი).

ი. ცედენბალი სამშობლოში გაემგზავრა

10 აპრილს მოსკოვიდან ულანბატორს გაემგზავრა მონგოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო პარალის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ი. ცედენბალი. (საკდესი).

ა. ა. გრომიკო ესაუბრა ლ. მოისოვს

11 აპრილს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო ესაუბრა იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა საკავშირო მდივნის პირველ მოადგილეს ლ. მოისოვს.

საუბარში, რომელმაც მეგობრული ვითარებაში ჩაიარა, ა. ა. გრომიკომ და ლ. მოისოვმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრი ზოგიერთ საერთაშორისო პრობლემაზე, რომლებიც მოლაპარაკების საგანი იყო საბჭოთა კავშირში საკავშირო აღმასრულებელი ვეჩის თავმჯდომარის ჯ. ბიედიჩის ვიზიტთან დაკავშირებით. (საკდესი).

ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის ოლაპარაკებს

10 აპრილს კრემლში გაგრძელდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინის მოლაპარაკება იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრთან, იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის საკავშირო აღმასრულებელი ვეჩის თავმჯდომარეს ჯ. ბიედიჩთან.

გაიმართა აზრთა გაზიარება პოლიტიკურ, ეკონომიურ და სხვა დარგებში ხაბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის ორმხრივი ურთიერთობის საკითხებზე. კერძოდ, გამოვლინდა, რომ ორივე მხარე დაინტერესებულია გაიფართოონ თანამშრომლობა ეკონომიკის მთელ რიგ დარგებში, რაც ხელს შეუწყობს შრომის საერთაშორისო დანაწილების პროცესის დაჩქარებას ორი ქვეყნის სახალხო მეურნეობის ინტერესებისათვის.

მხარეები შეთანხმდნენ მოამზადონ განხილულ საკითხებზე შესაბამისი ორმხრივი დოკუმენტების პროექტები.

განიხილეს აგრეთვე ორი ქვეყნისათვის საინტერესო აქტუალური საერთაშორისო პრობლემები.

მოლაპარაკება მიმდინარეობდა ორი ქვეყნის ურთიერთობისადმი დამახასიათებელ საქმიან, მეგობრულ ვითარებაში. (საკდესი).

საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის საელჩოში

იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის საკავშირო აღმასრულებელი ვეჩის თავმჯდომარემ ჯემალ ბიედიჩმა 10 აპრილს იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის მოსკოვის საელჩოში სადილი გამართა.

საბჭოთა კავშირის მხრივ იყვნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, ამხანაგები ა. ა. გრომიკო, კ. ტ. მაზუროვი, დ. ს. პოლიანსკი, მ. ს. სოლომენცევი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ი. ვ. არხიპოვი, ვ. ე. დომშიცი, ვ. ა. კირილინი, მ. ა. ლუსენკო, ვ. ნ. ნოვიკოვი, სსრ კავშირის მინისტრები, სხვა ოფიციალური პირნი.

იუგოსლავიის მხრივ — იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის საკავშირო აღმასრულებელი ვეჩის თავმჯდომარე ჯ. ბიედიჩი, იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის სამეურნეო პალატის თავმჯდომარე ი. ვაკიჩი, სერბეთის სოციალისტური რესპუბლიკის აღმასრულებელი ვეჩის თავმჯდომარე დ. ჩკრებიჩი, იუგოსლავიის სხვა სახელმწიფო მოღვაწენი. (საკდესი).

ჩვენს ქვეყანაში სამოგზაურო

11 აპრილს მოსკოვიდან ჩვენს ქვეყანაში სამოგზაუროდ გაემგზავრა იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის საკავშირო აღმასრულებელი ვეჩის თავმჯდომარე ჯემალ ბიედიჩი, რომელიც საბჭოთა მთავრობის მოწვევით ოფიციალური მეგობრული ვიზიტით ამყოფება საბჭოთა კავშირში.

ჯემალ ბიედიჩი ეწვევა ლენინგრადსა და კიევს.

იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო აღმებით მორთულ ენუკოვის აეროდრომზე ჯ. ბიედიჩი თვითმფრინავის კიბესთან გააცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ კ. ტ. მაზუროვმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა კ. თ. კატუშევმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებმა ი. ვ. არხიპოვმა, ვ. ნ. ნოვიკოვმა, სსრ კავშირის მინისტრებმა, სხვა ოფიციალური პირნი.

ა. ნ. კოსიგინმა და ჯ. ბიედიჩმა ჩამოუარეს საბჭოთა მეომრების მწყრივს.

ჯ. ბიედიჩთან ერთად ჩვენს ქვეყანაში იმოგზაურებენ მისი თანამხლები იუგოსლავიის სახელმწიფო მოღვაწენი. (საკდესი).

დავამკვიდროთ მუშაობაში პარტიული, ლენინური სტილი

ადამიანთა შემოწმება და საქმის შაქციური შესრულების შემოწმება — ეს, კიდევ ეს, ბრძოლად ეს ერის ამჟამად მთელი მუშაობის, მთელი პოლიტიკის ლერძი.

ვ. ი. ლენინი

ქეთილად მოსაგონარი იქნება გურჯაანის რაიონის მშრომელთათვის მეცხრე ხუთწლედის განმსაზღვრელი წელი. ეს იყო სამეურნეო და კულტურული მშენებლობისადმი პარტიული პოზიციებიდან მიდგომისა და საბჭოთა მუდმივი ძიების წელი. რაიონის პარტიულმა ორგანიზაციებმა თავიანთი მუშაობას საფუძვლად დაუდეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმის, პარტიის XXIV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბოლო პლენუმების გადაწყვეტილებანი. მათი მოღვაწეობის სასახელო ქვა გახდა ავრცელებული ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილება პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ, რომელმაც ღრმა ანალიზი გაუკეთა თბილისელ კომუნისტთა მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს და დასახა კონკრეტული გზები არსებული მდგომარეობის ნორმალიზაციისათვის.

შარშან რაიონმა გადამეტებით შეასრულა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმები. რაც ყველაზე საგულისხმოა, რთულ ბუნებრივ პირობებში. მოვიყვანეთ და სახელმწიფოს მიეყიდეთ 58 ათასი ტონა ყურძენი, ეიგმთ გათვალისწინებული 55.300 ტონის ნაცვლად. საშობლომ გურჯაანელებისაგან გეგმის ვადაჭარბებით მიიღო დიდძალი მარცვლეული, ხორცი, რძე, კვერცხი, აბრეშუმის პარკი...

შრომა დაგეიფასდა. ამ წარმატებებისათვის ჩვენს რაიონს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშები მიეკუთვნათ—ვაზისუბანს. არაშენდის კოლმეურნეობებსა და გურჯაანის სახელმწიფო სანერგე მეურნეობას.

ცხოვრებამ მთლიანად და სავსებით დაადასტურა სისწორე პარტიის „კურსისა, რომლითაც მნიშვნელოვნად გაძლიერდა პარტიული ხელმძღვანელობა სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებისადმი. მის ერთ-ერთ გადამწყვეტ რგოლში — რაიონულ რგოლში, ხოლო ძირითადი პასუხისმგებლობა ამაზე პარტიის რაიკომს დაეკისრა.

ჩვენ ვეცდილართ რაიკომი გადავაქციოთ სოფლის მეურნეობის ამმაგლობისათვის ბრძოლის ნამდვილ შტაბად, რომ იგი კოორდინაციას უკეთებდეს ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციის საქმიანობას, უმორჩილებდეს მათ ერთიან მიზანს.

რაიკომის პლენუმებსა და ბიუროს სხდომებზე სისტემატურად განიხილავთ პარტიის აგრარული პოლიტიკის განხორციელების პრაქტიკულ საკითხებს, იდეოლოგიურად უზრუნველყოფთ მათს განხორციელებას, ეძიებთ მოსაგლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდების რეზერვებს.

როგორც ცნობილია, კადრების პოლიტიკა პარტიის მოღვაწეობის ერთ-ერთი უმთავრესი უბანია. ახალ პირობებში მსხვილი, სამრეწველო ტიპის სასოფლო-სამეურნეო წარმოება მაღალ მოთხოვნებს უყენებს როგორც ხელმძღვანელ, ისე რიგით მუშაკებს, ზრდის მათ როლსა და პასუხისმგებლობას. ჩვენ გვესაჭიროება მეურნეობათა კვალიფიციური ხელმძღვანელები, სპეციალისტები, მასობრივი პროფესიის კადრები. სწორედ აქედან გამოდიოდა პარტიის რაიკომი. როცა კურსი აიღო კადრების შერჩევისა და განაწილების საქმეში ლენინური პრინციპების მკაცრად დაცვაზეა დიდად დაეხმარა რაიონის პარტიულ ორგანიზაციას გადაესინჯა ხელმძღვანელ მუშაკთა საქმიანობა, ბოლო მოეღო კადრების პოლიტიკაში ძმაბიჭობისა და პროტექციონობისათვის.

თანამდებობიდან გავათავისუფლეთ ბევრი სახელგანთქმული მუშაკი, რომლებსაც საზოგადოების თვალში პრესტიჟი ჰქონდათ დაკარგული. მათ ნაცვლად შრომითი კოლექტივების წევრებიდან შერჩეულ იქნენ ავტორიტეტიანი, ენერგიული, საქმის მცოდნე ამხანაგები, რომლებმაც გაამართლეს ნდობა. პარტიის რაიკომმა კადრების მომზადების საქმე თავის ნიერულ საფუძვლებზეა განაგრძობა და ნამყენი ვაზის გამოსავლიანობის გადიდების საკავშირო ინსტიტუტის გარანტიას წარმოადგენს.

ამ მეთოდის გამოყენებამ საწერგი მეურნეობას ბევრი სიკეთე მოუტანა. რაც მთავარია, გადიდდა ნამყენის გამოსავლიანობის პროცენტი, ამაღლდა მისი ხარისხი, გამოთავისუფლდა ამ საქმეში ადრე დასაქმებული დიდძალი მუშახელი და ყოველივე ამას შედეგად მოჰყვა მნიშვნელოვანი თანხების ეკონომია.

წლეულს ვეჯინის სახელმწიფო სანერგე მეურნეობაში გათვალისწინებულია ელექტროსტრატიფიკაციის მეთოდით 5 მილიონი ცალი ვაზის ნერგის წარმოება. რითაც ჩვეულებრივ წესთან შედარებით 14.000 მანეთი დაიზოგება.

ამ სიახლის დანერგვა, რომელიც მაღალ ეკონომიურ ეფექტს იძლევა, გათვალისწინებულია სხვა მეურნეობებშიც. რასთვისაც შარშან ბეკურციხის ყოფილი კოლმეურნეობის ბაზაზე შეიქმნა სპეციალური სანერგე მეურნეობა.

მევენახეობაში მოთავებული გარკვეული წარმატებების მიუხედავად, საჭიროა კრიტიკულად შეეხებოთ ამ დარგის განვითარების პერსპექტივას.

საქმე ის არის, რომ მოსავლიანობის არსებული დონე ვეღარ უპასუხებს მშრომელთა გაზრდილ მოთხოვნებს. ამიტომ სათანადო ორგანოებმა საჭირო დასკვნები უნდა გააკეთონ, გამონახონ ეფექტური გზები და საშუალებანი ყურძნის მოსავლიანობის ამაღლების ტემპების დასაჩქარებლად, რაშიაც გადამწყვეტი სიტყვა ჩვენს მეცნიერებს ეკუთვნით.

ლენინური აგრარული პოლიტიკის მოთხოვნებს უპასუხებს რაიონის პარტიული ორგანიზაციის მიერ მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისათვის გაწეხრილებული ღონისძიება.

აღსანიშნავია, რომ არც თუ დიდი ხნის წინათ მეცხოველეობა რაიონში მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა სოფლის მეურნეობის სხვა დარგებს, იგი ზარალიანი იყო. პარტიულმა ორგანიზაციამ ანალიზი გაუკეთა ჩამორჩენის მიზეზებს და ამ მდგომარეობიდან გამოსავლად მიიჩნია პარტიის მიერ რეკომენდებული სპეციალიზაცია და კონცენტრაცია.

ჩვენმა პარტიულმა, სამეურნეო ხელმძღვანელებმა სპეციალისტებმა, პრაქტიკოსებმა გადასინჯეს მეცხოველეობის შემდგომი განვითარების რეალური შესაძლებლობანი. შეიქმნა საზოგადოებრივი აზრი. ამის შემდეგ გადაიდგა პირველი ნაბიჯები სიახლეთა დანერგვის მიზნით.

უწინარეს ყოვლისა, საზოგადოებრივ მეურნეობებში არსებული დაწვრილებითეულებული, ნაკლებეკონომიური ფერმები და ბრიგადები გაერთიანდნენ და გარდაქმნენ უფრო მსხვილ ერთეულებად.

ჯერ კიდევ 1974 წლის დასაწყისში კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ბრალი პირუტყვი გაერთიანდა მსხვილ სპეციალიზებულ კომპლექსში. ამ გზით შეიქმნა მეცხოველეობის რაიონული გაერთიანება, რომელმაც მეპაიებისაგან მიიღო 6.000 სულამდე მსხვილფეხა პირუტყვი და რომლის განკარგულებაშია 6.000 ჰექტარზე მეტი მიწა.

კომბლექსში გაერთიანებული მსხვილფეხა პირუტყვის სამრეწველო-სასაქონლო მიზნებისათვის გამოყენებულ იქნა დღემდე თავმინებებული ათასობით ჰექტარი სძღვარი მდინარე ივრისა და „ლაზნის მიდამოებში.

რაიონში მეცხოველეობის განვითარება ხდება მევენახეობის უპირატესი განვითარების პარალელურად. ამასთან მეცხოველეობა ხელს კი არ უშლის მევენახეობის შემდგომ სრულყოფას, არამედ ხელს უწყობს მას და ანაზღაურებს იმ თანხებს, რომელიც მევენახეობიდან მიდიოდა მეცხოველეობაში გამოწვეული ზარალის დასაფარავად. აღსანიშნავია ისიც, რომ ფერმების გამსხვილებამ და პირუტყვის ერთ ადგილზე თავმოყრამ გამოათავისუფლა მუშახელი მევენახეობაში დასაქმებასათვის, ხელსაყრელი პირობები შექმნა დიდძალი ნაკელის ორგანიზებულად შეგროვებისათვის.

ეს რაიონული გაერთიანება თავისი არსებობის მცირე დროის მიუხედავად უკვე იძლევა პირველ დადებით შედეგებს. თუ ადრე ჩვენს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მსხვილფეხა პირუტყვის საშუალო სადღეღამისო წონამატება 230-250 გრამს არ აღემატებოდა, ახლა ოვი მთლიან სულადობაში 550 გრამს შეადგენს, ხოლო ინტენსიურ სუქებაზე დაყენებული პირუტყვის ჯგუფებში 800 გრამს გადააჭარბა.

მიღწეულია ის, რომ სახელმწიფოს ბარდება მხოლოდ მაღალ ნაკვლობის პირუტყვი, რომელთაგან თვითეულის წონა 300 კილოგრამზე ნაკლები არ არის.

თუ ადრე ერთი ცენტნერი ჩაბარებული ხორცის სახელმწიფო ფასი 115 მანეთს არ აღემატებოდა, ახლა იგი 189 მანეთს შეადგენს.

1973 წელს რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ამ დარგიდან განიცადეს 280 ათასი მანეთი ზარალი, რაც შარშან არა მარტო ანაზღაურდა, არამედ 400 ათასი მანეთი მოგებაც იქნა მიღებული.

მოეწყო მოზარდეულის ინტენსიური სუქების პუნქტიც (ე. წ. სახბორე), რომელიც სპეციალიზებულ ერთეულს წარმოადგენს.

კონცენტრაციისა და სპეციალიზაციის საფუძველზე ერთ-ერთი სოფლის — ჯიმითის კოლმეურნეობაში მოვახდინეთ ყველა სახოგადოებრივი მეურნეობის კუთვნილი ცხვრის დაწვრილებითეულებული ფერმების გამსხვილება. ყველა პირობაა შექმნილი ასეთივე მსგავსი ღონისძიების გასატარებლად მეღორეობის დარგშიც. განვახორციელეთ საგანგებო ღონისძიებანი მეცხოველეობის საკვები ბაზის განმტკიცების მიზნით.

შეიქმნა და პირველ ღონისძიებებს ახორციელებს შემაღნეობა-მეზოსტნეობის რაიონული გაერთიანება, რომელიც უკვე აითვისა მეფუტკრეობისათვის დღემდე გამოუყენებელი ოთხასამეტ ჰექტარი საუკეთესო მიწის ფართობი.

ყველა ამ სიახლემ სასურველი ეფექტი რომ მოგვცეს, დღეს სულ უფრო წინა პლანზე დგება პარტიული ორგანიზაციების მოღვაწეობის მიტად მნიშვნელოვანი მხარე — შესრულების კონტროლისა და შემოწმების ორგანიზაცია, ნამდვილი პარტიული სტილის დამკვიდრება მოღვაწეობის ყველა სფეროში. გულახდილად უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ ჯერეული გარკვეული მუშაობის მიუხედავად, ჯერ კიდევ ბევრი რამის გაკეთება გვმართებს პარტიული და სახელმწიფოებრივი მოთავეობის ყველა რგოლში შეგნებული დისციპლინის ოსტატურად, კომუნისტთა პერსონალური პასუხისმგებლობის ასამაღლებლად, შემოქმედებითი ინიციატივის გასავითარებლად, მასების აქტივობის ასამაღლებლად, სოციალისტური შეჯიბრების ახალ სიმაღლეზე ასაყვანად.

განსაკუთრებით პასუხსაგები ამოცანები დგას ჩვენი რესპუბლიკის, გურჯაანის რაიონის ეკონომიკისა და კულტურის წინამე ხუთწლედის დამამთავრებელ წელს. ეს ამოცანები რთული, მაგრამ რეალური და მათი შესრულება ძალების მნიშვნელოვან დაძაბვას მოითხოვს. მაგრამ ჩვენი ძალები და რეზერვები აუარაკელია. ეს დაადასტურა რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებამ. რომელმაც მაღალი მომთხოვნელობის ნიშნით ჩაიარა.

ახლა მთავარზე მთავარი ის არის, რომ კიდევ უფრო ავამაღლოთ მომთხოვნელობის დონე, გავზარდოთ თვითეული კომუნისტის, თვითეული მშრომელის პასუხისმგებლობა საერთო საქმისათვის, წაეახალისოთ ადამიანთა ინიციატივა და თაოსნობა.

შ. ეცადაშვილი,
საქართველოს კომპარტიის გურჯაანის რაიკომის პირველი მდივანი.

სამეოგლოს ჯილდო — ლირსეულთ

ბოლნისის რაიონის კულტურის სახლში გამართა საზეიმო კრება, რომელიც მიეძღვნა მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატისა და რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავე მუშაკებისათვის მთავრობის ჯილდოების გადაცემას.

კრება გახსნა ბოლნისის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ მ. ფ. ალიევმა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ამხ. ზ. ა. კვაჭაძემ წაიკითხა სსრ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით იმ მუშაკთას დაჯილდოების შესახებ, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის პირველი რიგის მშენებლობაში.

სამშობლოს მაღალი ჯილდოები გადასცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. გ. ს. ძოწენიძემ. ლენინის ორდენი გადაეცა საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს „საქშახტმშენის“ № 7 ტრესტის „მადნეულმშენის“ საკავშირო სამთავრობო ჯილდოს ბოლოდროინდელ მეშვიდე ლაურეატ ბ. ბ. ბუბნოვს, ტრესტის რეკორდმაფარ ექსკავატორისტ ა. ბ. ბურნაძეს, მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის ავტოსატვირთველ ა. ბ. ბურნაძეს, ტრესტ „საქშახტმშენის“ № 7 ტრესტის „მადნეულმშენის“ ბრიგადირ ბ. ბ. ბუბნოვს, ტრესტ „საქშახტმშენის“ № 133 მოძრავი მექანიზებული კოლონის ელექტრომექანიკოსს ბ. ბ. ბურნაძეს,

ხელოვანი საერთოხალხო საქმეა

საქართველოს შემოქმედებითი კავშირების გაერთიანებული პლენუმი

ქართული ხელოვნებისათვის ამოუწურავი ომისდროინდელი გმირობის თემა — ეს აზრი წითელ ზოლად გასდევდა რესპუბლიკის მწერალთა, კინემატოგრაფისტთა, მხატვართა, კომპოზიტორთა, არქიტექტორთა, ჟურნალისტთა კავშირების, თეატრალური და მუსიკალურ-ქორეოგრაფიული საზოგადოებების გაერთიანებულ პლენუმს, რომელიც 10 აპრილს გაიმართა კინოს სახლში. იგი მიეძღვნა დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 30 წლისთავს.

შეკრებილთა ტაშის გრიალში პლენუმის საპატიო პრეზიდიუმში თრჩიეს სკკ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის პორტრეტები.

პლენუმი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ გ. აბაშიძემ.

— გავიდა ათეული წლები, გავა საუკუნენი, — თქვა მან, — შაგრამ ხალხს მუდამ ეხსომება ნაწამებლის სახელოვანი დამცველები, რომლებმაც მტერი დაამარცხეს, დაიცვეს თაობათა თავისუფლება და ბედნიერება. საბჭოთა ადამიანებისათვის მარად ძვირფასი იქნება დიადი გამარჯვების დღე — 1945 წლის 9 მაისი. და რაც უფრო მეტი დრო გადის ომის წლებიდან, მით უფრო ძლიერია ჩვენი მისწრაფება შემოვუნახოთ ახალ თაობებს ფრონტისა და ზურგის გმირთა სახელები, დაწვრილებით გავაცნოთ მათი მბედრული და შრომითი საგმირო საქმენი, რომლებიც გამარჯვებას გვიახლოვებდნენ.

საბჭოთა ლიტერატორებმა, კომპოზიტორებმა, მხატვრებმა და მოქანდაკეებმა, ხუროთმოძღვრებმა, თეატრისა და კინოს მუშაკებმა თავიანთი შემოქმედებით დამტკიცეს პარტიის, სამშობლოს, ხალხის ერთგულება. ფრონტის წინა ხაზზე და ზურგში, სამხედრო ქარხნებსა და ჰოსპიტლებში ლიტერატურისა და ხელოვნების ოსტატები თავიანთი ნაწარმოებებით აძკიდრებდნენ გამარჯვების რწმენას და მოუწოდებდნენ ახალი საგმირო საქმეებისათვის. ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებმა ღირსეული წვლილი შეიტანეს გამარჯვების მოპოვებაში, ადამიანის სიყვარულით გამსჭვალული მათი შემოქმედება მკაფიოდ ასახავდა ახალი ცხოვრების ძლევამოსილებას.

ბევრი სახელოვანი ფურცელი ჩაწერეს დიდი სამამულო ომის ისტორიაში საბჭოთა ჟურნალისტებმა. ისინი უშიალოდ ბრძოლის ველიდან გზავნიდნენ რეპორტაჟებს გაზეთების რედაქციებში, ბევრი მათგანი ვაჟკაცურად დაიღუპა ამ ჯარისკაცებთან ერთად, რომელთა მამაცობის უკვდავსაყოფად არ ზოგავდნენ სიცოცხლეს. კინოკამერებით გაიარეს ომის გზები ოპერატორებმა და რეჟისორებმა. მათ თაობებს შემოუნახეს ომის ქრონიკის უნიკალური კადრები, რომლებიც მოწმობენ საბჭოთა მეომრების ვაჟკაცობას, გმირობას, პატრიოტიზმს, მაღალ მოქალაქეობრიობას.

საბჭოთა მეომრის, განმათავისუფლებელი მეომრის სულიერი და მორალური სახის, მისი მამაცობისა და ვაჟკაცობის, მართალი საქმის გამარჯვების ურყევი რწმენის წარმოსახვა ჩვენი ლიტერატურისა და ხელოვნების უპირველესი ამოცანა იყო ომის იმ მრისხანე დღეებში. ქართულმა ლიტერატურამ და ხელოვნებამ, ისე როგორც მთელმა ჩვენმა მრავალეროვნულმა საბჭოთა ლიტერატურამ, ღირსეულად შეასრულა ეს ამოცანა. ქართული მხატვრული სიტყვა, მუსიკა შთაგონებდნენ ქართველ მეომრებს საგმირო საქმეებს, სპექტაკლებისა და კინოფილმების გმირები თვიანთი მაგალითებით აღაფრთოვანებდნენ მათ. ლიტერატურისა და ხელოვნების ოსტატები მეომრებთან ერთად გმირულად იბრძოდნენ სამშობლოს საკეთილდღეოდ. შექმნილია ბევრი ლექსი და სიმღერა, რომლებიც ნაღარასავით ეღერდა დიდი სამამულო ომის დღეებში. ამ სიმღერებს დღესაც მაშინდელი გატაცებით მღერიან. დაიწერა რომანები და პოემები, მოთხრობები და პიესები, რომლებიც საბჭოთა ლიტერატურის ოქროს ფონდში შევიდა. ფუნჯისა და საჭრისის ოსტატებმა თავიანთ ნამუშევრებში აღბეჭდეს ჩვენი მეომრების გმირობა და კეთილშობილება. ომის წლების სპექტაკლებმა და ფილმებმა გაამდიდრეს ქართული თეატრალური და კინოხელოვნება ხალხის გმირული ბრძოლის, მისი ერთგული შვილების ვაჟკაცობის მართალი წარმოსახვით.

როგორც ამ დღეებში წერდა „ლიტერატურნაია გაზეტა“, „...ეს ნაწარმოებები ჩვენი ეპოქის ღირსეული ძეგლებია“.

მთელ ჩვენს ქვეყანაში, ყველა შემოქმედებითს კავშირში თეთრ მარმარილოს დაფებზე ოქროს ასოებით ამოკვეთილია მამაცურად დაღუპულ მწერალთა და მხატვართა სახელები.

ეი უკვე სამი ათეული წელია საბჭოთა ლიტერატურა, საბჭოთა ხელოვნება, — თქვა დასასრულ გ. აბაშიძემ, — მართლად ასახავს დიდი სამამულო ომის დღეთა პეროიკას; მკაფიოდ გვიჩვენებს საბჭოთა ადამიანების გმირობას. მაგრამ ხალხს უკვდავი გმირობა იმდენად დიდი და მრავალმხრივია, რომ საუკეთესო ხელოვანნი კვლავ და კვლავ მიმართავენ მას, კონკრეტული, სოციალური და ეროვნული მასალების საფუძველზე სულ ახლებურად და ახლებურად აშუქებენ ამ შესანიშნავ თემას.

პლენუმზე გამოვიდნენ საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ს. დოლიძე, საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი ნ. ჯანბურიძე, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, კომპოზიტორი ა. ბალანჩივაძე, საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე, საქართველოსა და უკრაინის სს რესპუბლიკების სახალხო არტისტი დ. ალექსიძე, საქართველოს არქიტექტორთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე ი. ჩხენკელი, საქართველოს მუსიკალურ-ქორეოგრაფიული საზოგადოების თავმჯდომარე, კომპოზიტორი ო. გორდელი, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის თავმჯდომარე, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორი დ. შეყდლიშვილი, ჟურნალ „მნათობის“ მთავარი რედაქტორი, ომის მონაწილე მწერალი გ. ნატროშვილი, აფხაზეთის კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარე ს. ქეცბა, არქიტექტორი, საბჭოთა კავშირის გმირი ი. ციცაშვილი, თეატრისა და კინოს პოპულარული მსახიობი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ს. ჭიაურელი, საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილების პასუხისმგებელი მდივანი. ფ. ხალვაში, სამხრეთ ოსეთის მხატვართა კავშირის თავმჯდომარე გ. დოგუზოვი, საქართველოს მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილების პასუხისმგებელი მდივანი, ომის მონაწილე მწერალი დ. კვიცარიძე, რესპუბლიკის დამსახურებული მხატვარი, ომის მონაწილე დ. გაბიტაშვილი.

ორატორებმა ილაპარაკეს დიდ სამამულო ომში ქართული ხელოვნების ოსტატების მონაწილეობის, მათ მიერ ფრონტებზე გამოჩენილი ვაჟკაცობისა და გმირობის შესახებ. ბევრი ვეღარ დაბრუნდა ბრძოლის ველიდან. დიდება იმათ, ვინც იბრძოდა, იღუპებოდა, მაგრამ გაიმარჯვა!

ქართული ლიტერატურის ბევრ ნაწარმოებს, რომლებიც წმიდათაწმიდა ომის თემას ასახავენ, კინოფილმებსა და სპექტაკლებს, ფერწერულ და სკულპტურულ ნაწარმოებებს, რეპორტაჟებს, ოპერებს, ბალეტებს, ორატორიებს, სიმღერებს, რომლებიც ჩვენმა მწერლებმა, რეჟისორებმა, მხატვრებმა, კომპოზიტორებმა, ჟურნალისტებმა შექმნეს, კვლავ და კვლავ იგონებენ ახლა, როცა ჩვენი ქვეყანა, მთელი პროგრესული კაცობრიობა ემზადება დიადი გამარჯვების 30 წლისთავის აღსანიშნავად. ამ ნაწარმოებებში მკაფიოდ გამოვლინდა საბჭოთა ადამიანების მაღალი მოქალაქეობრიობა, სოციალისტური სამშობლოს ერთგულების გრძნობა.

საქართველოს შემოქმედებითი კავშირების გაერთიანებული პლენუმის მონაწილეებმა დიდი აღმავლობით მიიღეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. სირაძე, საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე თ. მოსაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ნ. ჩერქეზიშვილი და პარტიის ქალაქ თბილისის კალინინის რაიკომის მდივანი ნ. გურგენიძე.

(საქინფორმი).

12 აპრილი კოსმონავტიკის დღეა

დიდი ნიჭის ადამიანი

მოსკოვში გაიხსნა ს. პ. კოროლიოვის სახლ-მუზეუმი

ადამიანის მარადიული და საუკეთესო ძეგლი მისი საქმეებია. ამიტომაც არასოდეს არ მივიცემა დავიწყებას აკადემიკოსი ს. პ. კოროლიოვი — მთავარი კონსტრუქტორი პირველი რაკეტულ-კოსმოსური სისტემებისა, რომელთა მეშვეობით დედამიწელებმა შეაღწიეს კოსმოსში, სწავლობენ და ითვისებენ მას მშობლიური პლანეტის საკეთილდღეოდ.

წყნარი ოსტანკინოს შესახვევი. ეზოს სიღრმეში ასწლოვანი ხეები და იასამნის ბუჩქებია. ტოტებს შორის ფიჩხნის „კოსმოსის“ ოპელისკის სილუეტი. მოასფალტებული ბილიკი გარს უვლის პატარა მრგვალ ვარდნარს და მიდის ხუთოთახიანი აგურის სახლისაკენ. 1959 წლიდან აქ ცხოვრობდა ს. პ. კოროლიოვი. მთავარი ღირსშესანიშნაობა მემორიალური მუზეუმისა, რომელიც აქ იხსნება, მეცნიერის კაბინეტია.

ვიწრო ხის კიბეს მეორე სართულზე ავყავართ. მარცხნივ სერგი პავლეს-ძე კოროლიოვის პორტრეტია, პირდაპირ, პატარა ექსპოზიციაა მიხი ცხოვრების გზის შესახებ: პროფესიული სამშენებლო სკოლის მოსწავლე შემდეგ გახდა აკადემიკოსი, ორგზის სოციალისტური შრომის გმირი და ლენინური პრემიის ლაურეატი. დოკუმენტებს შორის არის პატარა წიგნი, რომლის ყდაზე რაკეტა ჰხატია. ეს არის ოცდაშვიდი წლის ინჟინრის პირველი სამეცნიერო ნაშრომი „სარაკეტო ფრენა სტრატოსფეროში“ — ნაშრომი, რომელსაც ბევრი იცნობს. 1934 წელს გამოსულმა ამ ნაშრომმა კ. ე. ციოლკოვსკის ქება დაიმსახურა: „წიგნი გონივრული. მინიარსიანი და სასარგებლოაო“. ამ წიგნში არის წინასწარმეტყველური სტრიქონები: „დარწმუნებული ვარ, რომ მალე სარაკეტო ფრენა ფართოდ განვითარდება და შესაფერ ადგილს დაიკავებს სოციალისტური ტექნიკის სისტემაში“.

ვიტრინის მინაში მოჩანს დოკუმენტები: განცხადება, რომელშიც ლენინური პარტიის რიგებში მიღებას თხოულობს; პარტიული ბილეთი; სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება სოციალისტური შრომის გმირის მეორე ოქროს medlit „ნამგალითა და ურო-



მით“ ს. პ. კოროლიოვის დაჯილდოების შესახებ. ეს ჯილდო მიენიჭა რაკეტული ტექნიკის განვითარებაში, მსოფლიოში პირველი კოსმოსური ხომალდის „ვოსტოკის“ შექმნასა და ადამიანითურთ წარმატებით გაფრენაში განსაკუთრებული დამსახურებისათვის.

აქვეა ი. ა. გაგარინისა და ს. პ. კოროლიოვის ფოტოსურათები. მოყვანილია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვები კომკავშირის XVII ყრილობაზე: „კოროლიოვისა და გაგარინის ბედი იმის უბრწყინვალესი მაგალითია, თუ რა ფართო საპარეზა და შესაძლებლობებს უსახავს სოციალიზმი მშრომელ ადამიანს, ჩვენს ახალგაზრდობას“.

შევდიოართ კაბინეტში. წიგნებით გამოტენილი სეკრეტერის წინ ღრმა რბილი სავარძლები დგას. ამ სავარძლებში ბევრჯერ მჯდარან მეცნიერის მეგობრები, კოლეგები, კოსმონავტები. ფანჯრიდან შემოსული მკრთალი სინათლე აშუქებს ლენინის პატარა სკულპტურას.

კაბინეტში ყველაფერი სავსებით ასახავს იდეების, მეცნიერული სიმპათიების, აკადემიკოსის ადამიანური ურთიერთობის სამყაროს. აქვეა ფოტოსურათი, რომელზეც ი. ვ. კორჩატოვი, მ. ვ. კელდიში და ს. პ. კოროლიოვი არიან აღბეჭდილი. სამივეს ერთმანეთთან აკავშირებდა სამშობლოს საკეთილდღეო დიდი საერთო საქმეები. აქვეა დედამიწის ხელოვნური თანამგზავრებისა და კოსმოსური აპარატების მინიატურული მოდელები, რომელთა შექმნას მოახმარა აკადემიკოსმა თავისი დიდი ნიჭი და ენერგია. მაგრამ კაბინეტში განსაკუთრებით ბევრია წიგნი — ათას ექვსასზე მეტი — რუსულად, გერმანულად, ინგლისურად.

კედლზე ყავისფერი დაფა, ზუსტად ისეთივე, როგორც საკონსტრუქტორო ბიუროში. დაფასთან ცარცით ხელში სალამოობით ბევრჯერ მდგარა მეცნიერი, რომელსაც გამოჰყავდა რაკეტების, თანამგზავრებისა და ხომალდების დეტალები, და იქნებ, კოლეგათა გაანგარიშებებსაც ამოწმებდა.

„მეხსიერების“ ოთახი. სიკვდილის შემდეგ აკადემიკოსის სახიდან აღებული ნიღაბი, რომელზეც ამოკვეთილია სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის მ. ვ. კელდიშის სიტყვები: „ს. პ. კოროლიოვის სახელთან მუდამ იქნება დაკავშირებული ჩვენი დროის მეცნიერებისა და ტექნიკის ერთ-ერთი უდიდესი მონაპოვარი — კაცობრიობის მიერ კოსმოსური სივრცის ათვისების ერის დაწყება“.

ა. რომანოვი,
საკდესის მომხმილველი.

• • •

ხუარათზე: მოსკოვი. კოსმოსის დამპყრობთა მონუმენტი.

ზ. დათუაშვილის ფოტო.

ძიფრინავს „კოსმოს-726“

1975 წლის 11 აპრილს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-726“.

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას. აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკორონინაციო გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას. (საკდესი).

ხელოვანი საერთოხალხო საქმეა

ამბები • ფაქტები

საკდესი და ეცხოვრების პრესის სააგენტოები იტყობინებიან

ინფორმაციის ფოტოფლიო

ვაშინგტონი

ვარაუდობენ ცხოვრების შემდგომ გაძვირებას

ლისაბონი

რევოლუციის წარმატებით ვითარდება

ბრიუსელი

ბელგიელ კომუნისტთა პროტესტი

ფოტოინფორმაცია

ლონდონი. ქვეყნის ყველა კუთხიდან 5 ათასი კაცი ჩამოვიდა ინგლისის დედაქალაქში, რათა პროტესტი გამოეთქვა განათლების დარგში შექმნილი კრიზისული მდგომარეობის წინააღმდეგ.

სურათზე: საპროტესტო დემონსტრაცია ლონდონის ქუჩებში.



ფართოვდება მეცნიერული კონტაქტები

პრაღა. მოსკოვში ხელმოწერილი ოქმი 1976-1980 წლებში სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიისა და ჩეხოსლოვაკიის მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერული თანამშრომლობის შესახებ დიდმნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეცნიერული ურთიერთობის შემდგომ განვითარებაში, განუცხადა აქ ჟურნალისტებს ჩეხოსლოვაკიის მეცნიერებათა აკადემიის ვიცეპრეზიდენტმა, სლოვაკიის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ვლადიმერ გაიკომ.

ორი მოძმე ქვეყნის მეცნიერებათა აკადემიის თანამშრომლობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ ჩეხოსლოვაკიის მეცნიერების პროგრესისათვის, თქვა შემდეგ ვ. გაიკომ. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიას უდიდესი მეცნიერული პოტენციალი აქვს, და ჩვენ მივესალმებით იმას, რომ საშუალება გვეძლევა კიდევ უფრო მჭიდროდ კონტაქტები დავამყაროთ საბჭოთა მეცნიერებთან.

პრაღა. პრაღაში ხაზეიმო ვითარებაში გაიხსნა ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის დღეები. ამ დღეებში ეწყობა სიმპოზიუმები, სემინარები, კონფერენციები, რომლებზეც გამოდიან ორივე ქვეყნის წამყვანი მეცნიერები.

სოფია. ქალაქ ველიკო-ტირნოვოში დამთავრდა მეცნიერ-რუსისტთა მეორე სიმპოზიუმი, რომელიც ეძღვნება რუსული ენის შესწავლის საკითხებს. სიმპოზიუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ ბულგარეთის, საბჭოთა კავშირის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, უნგრეთისა და სხვა ქვეყნების მეცნიერები.

სიმპოზიუმზე მოისმინეს 30 მოხსენება და ინფორმაცია.

საკდესი

ტელეტაიპის ლენტიდან...

11 აპრილი

ჟენევა. აქ გაიმართა მორიგი შეხვედრა საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკებაზე სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ.

ვენა. ავსტრიის დედაქალაქში გაიმართა ცენტრალურ ევროპაში შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების ურთიერთშემცირების შესახებ მოლაპარაკების მონაწილეთა მორიგი პლენარული სხდომა.

ბონი. აქ გაიმართა მორიგი ეტაპი მოლაპარაკებისა საფოსტო და სატელეგრაფო კავშირგაბმულობის საკითხებზე, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის შეთანხმების დადების შესახებ.

ოფიციალურად გამოცხადებულია, რომ მოლაპარაკების შემდგომი ეტაპი მოეწყობა მაისის დამლევს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქ — ბერლინში.

ბეირუთი. ისრაელის ხელისუფალნი რეპრესიებს მიმართავენ მკვიდრი მოსახლეობის წინააღმდეგ მიტაცებულ არაბულ ტერიტორიაზე. ისრაელის სამხედრო სასამართლომ ღაზის სექტორში ალი მოჰამედ ჰალაფატს მიუსაჯა სამუდამო პატიმრობა, ხოლო ორ სხვა არაბ მოქალაქეს — ოცდახუთ-ოცდახუთი წელი.

ტოკიო. იაპონიის პარლამენტის დეპუტატმა სოციალისტურ პარტიისაგან ხ. ოსიბამ იაპონიის მთავრობას მოსთხოვა შეუწყვეტოს ეკონომიური დახმარება სეულის რეჟიმს. თავის საპროტესტო განცხადებაში, რომელიც იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს გაუგზავნა, ხ. ოსიბამ დაგმო იაპონიის მთავრობა იმისათვის, რომ დახმარებას უწევს სამხრეთ კორეის ხელისუფლებას.

ეს საინტერესოა

მოგზაურობა „ოცნებით“

ნიუ-იორკი. გაბედულ მოგზაურობაში წავიდა ქალაქ ორლინსის (მასაჩუსეტსის შტატი) 29 წლის მცხოვრები ალან ჩედბერნი. თვითნაკეთი ნავით, რომელსაც „ოცნებაზ“ უწოდა, მან კურსი აიღო პორტუგალიის ნაპირებისაკენ. იგი აპირებს დაამყაროს მსოფლიო რეკორდი — პატარა გემით მარტომ გადაცუროს ატლანტის ოკეანე.

ალან ჩედბერნმა თვითონ შეჭმნა და აიშენა სულ 2,5 მეტრი სიგრძის ეს პატარა ნავი. პაწაწინა ნავი ბოლამდეულია ცხოვრების ელემენტარულ პირობებს. და აქვს ერთადერთი ვიწრო ლუკა, რომელშიც ზღვაოსანი იქნება.

ალან ჩედბერნი აპირებს ოკეანე გადაკვეთოს 60 დღეში. მაგრამ მაინც მოიმარაგა 120 დღის საგზალი.

„ჭერჭერობით მხოლოდ ერთი რამ მაწუხებს — ფეხები ვერ გამიმართავს. მაგრამ უკეთესი მომავლის იმედს არ ვკარგავ. როგორც კი სურსათის ნაწილს შევჭამ, „ოცნებაზე“ საოცნებო კომფორტი მექნებაო“, — იხუმრა გამოთხოვებისას მამაცმა ზღვაოსანმა (საკდესი).

ახალი სამხედრო ხარჯების წინააღმდეგ

ბრიუსელი. 11 აპრილი. (საკდესი). ბელგიის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარემ ლ. ვან გეიტმა ბელგიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სახელით ღია წერილი გაუგზავნა პრემიერ-მინისტრ ლ. ტინდემანსს. წერილში იგი მოუწოდებს, რომ მიმდინარე წელს უარი თქვან ახალი სამხედრო თვითმფრინავების შეძენაზე, რომლებითაც ბელგია ჰოლანდიასთან, დანიასა და ნორვეგიასთან ერთად აპირებს შეიარაღოს მომეველებული „სტარფაიტერები“. თვითმფრინავების შესყიდვის გარიგებამ, ნათქვამია წერილში, შეიძლება შეაჩეროს პროგრესი მშვიდობის განტკიცებისა და ეკონომიური ურთიერთობის მოგვარების საქმეში. ეს უკანასკნელი კი განსაკუთრებით საჭიროა კრიზისის პერიოდში, რომელსაც „კაპიტალისტური ქვეყნები განიცდიან. ლ. ვან გეიტმა განაცხადა, რომ „სტარფაიტერების“ შეცვლის წინადადება შემუშავებულია დაძაბულობის შენელებისადმი. განსაკუთრებით მტრულად განწყობილ „ნატოს წრეებთან, აგრეთვე მრავალეროვნულ მონოპოლიებთან მჭიდრო კონტაქტით“, ბელგიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო მოუწოდებს ქვეყნის მთავრობას ცენტრალურ ევროპაში შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების ურთიერთ შემცირების შესახებ მოლაპარაკებაზე შეიტანოს წინადადებანი, რომლებიც მიზნად ისახავენ ამ მოლაპარაკების პროგრესს.

თვითმფრინავების შესყიდვაზე უარის თქმა გაათავისუფლებს 35 მილიარდ ფრანკს, რაც შეიძლება მოხმარდეს პროფკავშირების მიერ დასაქმების დაცვის მიზნით წამოყენებული პროგრამის ნაწილობრივ განხორციელებას.

დეპეშა კ. ვალდჰაიმს

მეხიკო. (საკდესი). ნიკარაგუას ხალხისადმი სოლიდარობის მექსიკის კომიტეტმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს კურტ ვალდჰაიმს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც პროტესტს აცხადებს ნიკარაგუაში ადამიანის უფლებათა დარღვევის წინააღმდეგ.

კომიტეტი მოუწოდებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს იხმაროს ლონისძიებანი ნიკარაგუაში თვითნებობის შეწყვეტისათვის.

კამბოჯა: პატრიოტები უტევენ

ბანგკოკი, 10 აპრილი. (საკდესი). კამბოჯის განთავისუფლების ძალების ნაწილები განაგრძობენ შეუპოვარ ბრძოლებს პნომპენის მახლობლად „ჩინეტონგის ეროდრომთან. ისინი თანდათანობით ავიწროებენ პნომპენის ჯარებს და ამავე დროს სულ უფრო ძლიერ ცეცხლს უშენენ ასაფრენ ზოლებს და ამერიკის იმ თვითმფრინავების განტვირთვის ადგილებს, რომლებსაც ია-ოაღი, ტყვია-წამალი და სურსათი ჩამოაქვთ. ფიცხელი ბრძოლები მიმდინარეობს აგრეთვე ქალაქის დაცვის მთელ ჩრდილოეთ უბანზე. პატრიოტთა მძლავრი ირიშების გამო პნომპენის სარდლობა იძულებულია დაიწყოს თავისი ჯარების ევაკუაცია ბლაცდარმიდან მდინარე მეკონგის აღმოსავლეთ ნაპირზე.

მარიონეტული პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა საუკბამ ჰოიმ დღეს გამართა „მინისტრთა კაბინეტის“ საგანგებო სხდომა, რათა განეხილათ ამ ბოლო დღეებში გაუარესებული სიტუაცია.

ბანგკოკი, 10 აპრილი. (საკდესი). კამბოჯის ეროვნული ერთიანობის სამეფო მთავრობამ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც კვლავ დაადასტურა თავისი პოზიცია პნომპენის რეჟიმის მიმართ. ჩვენ არ გვსურს მოლაპარაკება და არავითარ კონტაქტებს არ დავამყარებთ პნომპენელ მოღალატეებთან არც ახლა, არც მომავალში, ნათქვამია განცხადებაში.

მსოფლიოს ქალაქებში

ეგვიპტე. მზეს პირამიდები ძველებურ ეგვიპტური კულტურის ფასდაუდებელი ძეგლებია. (საკდესის ფოტოქრონიკა).

კონსტიტუციის პროექტი მოიწონეს

კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს გაფართოებულ ერთობლივ სხდომაზე

ჰავანა, 10 აპრილი. (საკდესი). კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს გაფართოებულ ერთობლივ სხდომაზე პარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს წევრებთან ერთად განიხილა და მოიწონა კუბის რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის წინასწარ პროექტი, რომელიც საკონსტიტუციო კომისიამ შეიმუშავა. პოლიტბიუროს მიაჩნია, რომ ეს დოკუმენტი კარგი საფუძველი იქნება იმისათვის, რომ მისი საჯარო საყოველთაო განხილვის, აგრეთვე ყველა კომუნისტისა და კომპარტიის პირველი ყრილობის მიერ განხილვის შემდეგ მიიღონ კონსტიტუციის საბოლოო პროექტი. სახელმწიფოს უმაღლეს კანონად დამტკიცების მიზნით საბოლოო პროექტი გადაეცემა საყოველთაო-სახალხო რეფერენდუმს. კუბის რესპუბლიკა, ნათქვამია პროექტში, მუშებისა და გლეხების, ქალაქისა და სოფლის ყველა მშრომელის მტკიცე კავშირს მუშათა კლასის ხელმძღვანელობით. კუბის კომუნისტური პარტია — მუშათა კლასის ორგანიზებული მარქსისტულ-ლენინური ავანგარდი — საზოგადოებისა და სახელმწიფოს უმაღლესი ხელმძღვანელი ძალაა, რომელიც რაზმავს და წარმართავს საერთო მეცადინეობას სოციალიზმის მშენებლობის მაღალი მიზნებისათვის და კომუნისტური მომავლის გზით წინსვლისათვის. კუბის რესპუბლიკა, ნათქვამია პროექტში, მსოფლიო სოციალისტური თანამეგობრობის შემადგენელი ნაწილია და ეს არის მისი დამოუკიდებლობისა და ყოველმხრივი განვითარების ერთ-ერთი ძირითადი წანამძღვარი.

პროექტში ნათქვამია, რომ კუბის რესპუბლიკა განუხრელად იცავს პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და ხალხთა საბრძოლო სოლიდარობის პრინციპებს, რომ საბჭოთა კავშირთან და სოციალისტურ ქვეყნებთან მის ურთიერთობას საფუძვლად უდევს სოციალისტური ინტერნაციონალიზმი, ახალი საზოგადოების მშენებლობის საერთო მიზნები, ძმური მეგობრობა, თანამშრომლობა და ურთიერთდახმარება. კუბა მომხრეა მტკიცე მშვიდობისა, რომელსაც საფუძვლად დაედება ხალხთა დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი, მათი თვითგამორკვევის უფლება.

ჟურნალ „ოგონიოკის“ ფურცლებიდან

ფართოვდება მეცნიერული კონტაქტები

პრაღა. მოსკოვში ხელმოწერილი ოქმი 1976-1980 წლებში სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიისა და ჩეხოსლოვაკიის მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერული თანამშრომლობის შესახებ დიდმნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეცნიერული ურთიერთობის შემდგომ განვითარებაში, განუცხადა აქ ჟურნალისტებს ჩეხოსლოვაკიის მეცნიერებათა აკადემიის ვიცეპრეზიდენტმა, სლოვაკიის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ვლადიმერ გაიკომ.

ორი მოძმე ქვეყნის მეცნიერებათა აკადემიის თანამშრომლობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ ჩეხოსლოვაკიის მეცნიერების პროგრესისათვის, თქვა შემდეგ ვ. გაიკომ. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიას უდიდესი მეცნიერული პოტენციალი აქვს, და ჩვენ მივესალმებით იმას, რომ საშუალება გვეძლევა კიდევ უფრო მჭიდროდ კონტაქტები დავამყაროთ საბჭოთა მეცნიერებთან.

პრაღა. პრაღაში ხაზეიმო ვითარებაში გაიხსნა ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის დღეები. ამ დღეებში ეწყობა სიმპოზიუმები, სემინარები, კონფერენციები, რომლებზეც გამოდიან ორივე ქვეყნის წამყვანი მეცნიერები.

სოფია. ქალაქ ველიკო-ტირნოვოში დამთავრდა მეცნიერ-რუსისტთა მეორე სიმპოზიუმი, რომელიც ეძღვნება რუსული ენის შესწავლის საკითხებს. სიმპოზიუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ ბულგარეთის, საბჭოთა კავშირის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, უნგრეთისა და სხვა ქვეყნების მეცნიერები.

სიმპოზიუმზე მოისმინეს 30 მოხსენება და ინფორმაცია.

... ...

ეთერ. ... ...

ეძღვნება დიად გამჯრჯვებას

ამ დღეებში ძერჟინსკის სახელობის კლუბში გაიხსნა თბილისელი მხატვრის გიორგი ხალატოვის ნამუშევართა გამოფენა, რომელიც დიადი გამარჯვების 30-ე წლისთავს ეძღვნება. გამოფენაზე წარმოდგენილია ფერწერა, ქანდაკება, პლაკატი. ლენინგრადის სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებულის გ. ხალატოვის ნამუშევრები გამოფენილი იყო მოსკოვში, ლენინგრადში, თბილისში. მისი რესტავრირებულია თბილისის სამხატვრო აკადემიის დარბაზები. ამ აკადემიაში იგი ახლა გამოუენებით ხელოვნებას ასწავლის.

ფართოდ არის ცნობილი გ. ხალატოვის ნამუშევრები — ფიდელ კასტროს ჭედური პორტრეტი, რომელიც კუბის ეროვნულ მუზეუმშია, სამმეტრანახევრიანი ბრინჯაოს ქანდაკება „სამშობლო ან სიკვდილი", რომელიც დადგმულია კუბის დედაქალაქში. ამ ნამუშევრისათვის მხატვარს „ბავანის სპატიო მოქალაქის" წოდება მიენიჭა.

სურათზე: გ. ხალატოვის ნაწარმოებთა გამოფენის დარბაზში.

მ. კიკვიძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

სპარტაკიადის ალმით

წყალბურთელთა ტურნირის ფინიში ბათუმში

სამ ღღეს გრძელდებოდა ბათუმში საქართველოს VI სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული წყალბურთელთა ტურნირი 4 გუნდის მონაწილეობით. თბილისელები თავიდანვე ფავორიტებად ითვლებოდნენ. მათ სამივე შეხვედრა მოიგეს და საქართველოს სპარტაკიადის ჩემპიონები გახდნენ. აი მატჩების შედეგები: თბილისი-აფხაზეთი 12:1, თბილისი-ქუთაისი 10:1, თბილისი-აჭარა 9:3. აჭარის გუნდმა 4 ქულით მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა, ქუთაისის ნაკრებმა 2 ქულით — მესამე. აფხაზეთის გუნდმა ყველა შეხვედრა წააგო.

ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის მთავარმა მწვრთნელმა წყალბურთისა და წყალში ხტომაში ვ. გოიაშვილმა განაცხადა:

წყალბურთელთა დასკვნითი ტურნირი მოსკოვში შედგება 5-დან 15 მაისამდე. საქართველოს ნაკრები ფაქტიურად თბილისის დინამოელებით არის დაკომპლექტებული. გუნდი ახლა ბათუმში იმყოფება შეკრებაზე. მის შემადგენლობაში 18 კაცია, მოსკოვში კი 11 გაემგზავრება.

პროგნოზები ჯერ ნაადრევია. პირველ რიგში ჩვენი მთავარი საზრუნავია ქვეჯგუფიდან ფინალში გასვლა, თანაც 2 ქულით. ყოველი ქვეჯგუფიდან ფინალურ ჯგუფში 2 გუნდი გადის. აქ მათ გადაყვებათ ერთმანეთთან შეხვედრის შედეგი.

ქვეჯგუფში ჩვენი ნაკრების ოპონენტები არიან ესტონეთის, ბელორუსიის, ლატვის, მოლდავეთისა და ყაზახეთის გუნდები. რა თქმა უნდა, ყველა მეტოქე საშიშია, მაგრამ მათ შორის ყველაზე ძლიერ მოწინააღმდეგედ მიგვაჩნია ყაზახეთისა და ბელორუსიის გუნდები.

დაველოდოთ ფინალურ ტურნირს.

„ კომუნისტის" ინტერვიუ



ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი ო. ნოზაძე გუშინ თბილისის „დინამოს" საწვრთნელ-სპორტულ ბაზაზე დილიშში შეხვდა დინამოელთა გუნდის უფროს მწვრთნელს, სსრ კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს, სპორტის დამსახურებულ ოსტატ მიხეილ იაკუშინს, რომელმაც უპასუხა ალბათ ფეხბურთის ყველა მოყვარულთათვის ერთნაირად საინტერესო კითხვებზე.

შარშანდელი ნაწილი თბილისის „დინამოსათვის" და მის მრავალრიცხოვან გულშემატკივართათვის ერთ-ერთი არასასიამოვნოთაგანია, მაგრამ ჩვენი პირველი კითხვა მაინც მის ირგვლივ იქნება: დღევანდელი პოზიციებიდან რა შეიძლება ითქვას გასულ სეზონზე?

— მართლაცდა, ქართული ფეხბურთისათვის მე-9 ადგილი 16 გუნდს შორის, თუმცა ისინი ფაქტიურად ჩვენი ქვეყნის უძლიერესი კოლექტივები არიან, რბილად რომ ვთქვათ, არ არის „საგმირო საქმე", ვინაიდან თბილისის „დინამო", წლების მანძილზე მეტწილად საპრიზო ადგილისა ან პირველი ხუთეულის უტყუარი პრეტენდენტი იყო. მაგრამ არც იმის დავიწყება შეიძლება, რომ ჩვენი გუნდი შარშანდელი ჩემპიონატის ფინიშზე აუტსაიდერთა შორის აღმოჩნდა და, წარმოიდგინეთ, უმაღლესი ლიგის დატოვების საფრთხის წინაშეც დადგა. ასეა თუ ისე, გუნდის ხელმძღვანელობისა და მთელი კოლექტივის საერთო ძალებით ჩვენ შევძელით თავი დაგვეწყნა არასასურველი მდგომარეობისათვის.

რა ამოცანას ისახავდით ლესელიძეში ვარჯიშებსა და ჩატარებულ ამხანაგურ მატჩებში?

— შავი ზღვის სანაპიროზე ორმხრივი თამაშების გარდა ჩვენ ჩავატარეთ 7 საკონტროლო შეხვედრა. ვფიქრობ, მათი ტექნიკური შედეგები ფეხბურთის მოყვარულთათვის კარგად არის ცნობილი. მთავარი კი ჩვენთვის ამ „საბრძოლო დათვალიერებისას" იყო ცალკეული ფეხბურთელთა კონდიციების გასინჯვა, შემადგენლობის დადგენა, გუნდის სხვადასხვა რგოლების ერთმანეთთან შეწყობა და... მომავალ მეტოქეთა „იერის" ერთგვარი გაცნობა.

რამდენადაც ვიცით, ჩვენი გუნდის შემადგენლობაში წელს არსებითი ცვლილებები არ მომხდარა?

— როგორც იტყვიან ხოლმე, ყველანი არიან. მაგრამ, როგორც ცნობილია, თითქმის ყველა ხაზში განვიცადეთ დანაკლისი: სხვადასხვა ხასიათის ტრავმები გადაიტანეს მცველმა ხინჩაგაშვილმა, ნახევარმცველმა ასათიანმა და თავდასხმელმა ყიფიანმა. მაგრამ ახლა ყველა მათგანი კარგად გრძნობს თავს და უკვე ვარჯიშობს. ვფიქრობთ, რომ ეს ტრიო საბოლოოდ ჩაადგება მწყობრში, შეგა ჩვეულ ფორმაში და შეძლებს კვლავ დიდი სარგებლობა მოუტანოს მშობიარულ კოლექტივს. ნუ დაგვიწყდება, რომ თანამედროვე ფეხბურთში წარმატებაზე ფიქრი შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ შემადგენლობაში გყავს არა მარტო 11 საბრძოლო ერთეული, არამედ 18-20.

რას გვეტყვით წლევანდელი გათამაშების კალენდრის ავკარგიანობაზე?

— ძირითადად იგი მოსაწონია — გათვალისწინებულია ერთეკირიანი ციკლი, რაც საშუალებას იძლევა სრულად განვაგრძოთ სასწავლო-სავარჯიშო პროცესი და ავიმაღლოთ ოსტატობა. ახლა უკვე შეიძლება დაკვირვებათა უფრო ეფექტური რეგულირება და ტრავმების შემდეგ ფეხბურთელების მოყვანა საბრძოლო მდგომარეობაში. წინა წლებში კი რა გამოდიოდა — ვთამაშობდით ზოგჯერ ყოველ მესამე დღეს ან, პირიქით — მატჩებისაგან გვასვენებდნენ მთელ ორ კვირას. ცხადია, რომ ამით ირღვეოდა შეჯიბრების რიტმი.

ВИН ВИС ХВДЕБА

საკავშირო ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის 6 მატჩი გაიმართება დღეს ჩვენი ქვეყნის სტადიონებზე. მაშ ასე:

„დინამო" თბ.-„ლოკომოტივი"
„ჩერნომორეცი"-„სპარტაკი"
„შახტიორი"-„ტორპედო"
„პახტაკორი"-„ზენიტი"
„კარპატი"-„დინამო" მ.
„ზარია"-ცსკა

დუბლიორთა ასპპარეზობა

გუშინ რუსთავში „მეტალურგის" სტადიონზე გაიმართა თბილისის „დინამოს" და მოსკოვის „ლოკომოტივის" სათადარიგო შემადგენლობათა მატჩი.

თამაში, განსაკუთრებით პირველი ტაიმი, მიმდინარეობდა თბილისელთა უპირატესობით, რომლებმაც მოიგეს იგი დიდი ანგარიშით 4:1 (3:0). ბუთონები გიტანეს დარასელიამ, ყიფიანმა, გ. მაჩაიძემ, ხიზანიშვილმა და ლოკომოტიველმა მალინინმა.

დინამოელები გამოდიოდნენ ასეთი შემადგენლობით: გაგოშიძე (იმნაძე), ხიზანიშვილი, ჩივაძე, ჭილაია, მუჯირი, გ. მაჩაიძე, ყიფიანი, კოპალეიშვილი, დარასელია, რეხვიაშვილი, ზერეთელი (ლ. ნოდია).

□

მ ა ტ ჩ ი ქ უ თ ა ი ს ს ი ი

ქუთაისის სტადიონზე გუშინ საზეიმო ვითარებაში აღმართეს ფეხბურთის ახალი სეზონის ალმი, რის შემდეგ საასპარეზოდ გამოვიდნენ გათამაშების პირველი ლიგის კუნძები — ქუთაისის „ტორპედო" და კემუროვოს „ეუზბასი".

დაპაბული შეხვედრა მოიგეს ტორპედოელებმა — 2:1 (1:0). მასპინძელთაგან ბურთები გაატანეს ხერხაძემ და ოქროპირაშვილმა, სტუმართაგან — არხლიადემა. აღსანიშნავია, რომ მატჩის 75-ე წუთზე კემეროველთა კარში დაინიშნა 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმა, რომელიც ვერ გამოიყენა ხერხაძემ.

ტორპედოელთა გუნდში თამაშობდნენ: გაბელია, კოსტავა, ჭოხონელიძე, სოლომელიძე, ფარულავა, ოქროპირაშვილი, ჩახუნაშვილი, შელია (ქვირია), ფესტვენაძე (შენგელია), ხერხაძე, გაბიჩვაძე (ბურკაძე).

□

მ ს ო ფ ლ ი ო ს ს ტ ა დ ი ო ნ ე ბ ზ ე

უეფა-ს თასის გათამაშების პირველ ნახევარფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ დასავლეთ გერმანიის კლუბები „კიოლნი" და „ბორუსია". ანგარიშით 3:1 გაიმარჯვა „ბორუსიამ", რომელიც ახლა თავის მოედანზე მენჰენგლადბახში მიიღებს მეტოქის 23 აპრილის საპასუხო მატჩში.

მადრიდის „ატლეტიკომ" საკონტინენტთაშორისო თასის გათამაშების საპასუხო მატჩში თავის მოედანზე დაამარცხა არგენტინის „ინდეპენდიენტი" — 2:0 (პირველი შეხვედრა ბუენოს-აირესში მოიგეს არგენტინელებმა — 1:0) და საპატიო პრიზი მოიპოვა.

ს ა ტ ი რ უ ლ ი კ ა ლ მ ი თ

ხვალ ზღაპარი არ გეგონოთ

გამოიარე...

ბარდასულ დროს არ უცხოვრია ამ ზღაპრის მთავარ გმირს, ის ახლაც დღეგრძელობს და მინდობილ საბრძანებელოს განაგებს. მაგრამ მე არ გაგიმხელთ, ქალაქის რომელ კორდინატზე მდებარეობს მისი სამფლობელო, როცა თხრობას დავამთავრებ, თვითონ მიხვდებით. მართალია, ამ ზღაპრის პერსონაჟების თავგადასავალი ნამდვილი ამბავია, მაგრამ რაკი ზღაპარი ერთი ფრთით მაინც სინამდვილეს ეხება, მეც ზღაპარივით მოგიყვებით.

მაშ ასე: იყო და არა იყო რა, იყო და არის ერთი დირექტორი, სახელად სერგო. როგორც ვთქვეთ, მასაც აქვს თავისი საბრძანებლო მიკრორაიონი, ჰყავს მუშები და მოსამსახურეები, აქვს უზარმაზარი კაბინეტი, რომელსაც გუშაგივით უდგას კართან თვალებრიალა ფერია, აქვს სამსახურებრივი მანქანა, ხოლო მაცივარში — ნაბახუსევზე ნანატრი ღვინო „ბორჯომი" და სჭირს ერთი ახირებულება: ძალიან უყვარს „მერე" და „ხვალე". თუ რა დროიდან ისწავლა და შეიყვარა ეს უწყინარი სიტყვები, არ ვიცი, მაგრამ დირექტორის სავარძელში მოკალათების დღიდან წარამარა ხმარობს...

ამ სამიოდე წლის წინათ თავისი აკვიატებული „მერე" დირექტორმა, ქალ-ვაჟიანის ბედი რომ წყდებოდა, პირველად მაშინ იხმარა. ამ ქალვაჟს პროფსასწავლებლის დამთავრების შემდეგ სერგოს საბრძანებელში მიეღოთ შრომითი ნათლობა, აქ ეგებმთ საკუთარი ოფლით მოპოვებული ლუკმის ღვთიერივი გემო და აქვე ეზიარნენ ტკბილ ნექტარს პირველი სიყვარულისას, მაგრამ რაკი ქალიშვილი ნაზირ-ვეზირის ასული არ იყო, ხოლო ვაჟი — უფლისწული, ამასთან, არც წყალსა და ხმელეთზე გაბატონებული მშობლები პყავდათ, რომ მათს რკინის ხელს დაყრდნობოდნენ და ნაბიჯ-ნაბიჯ ეცევა-თამაშით გასულიყვნენ ცხოვრების გრძელ გზაზე, ისინი თავიანთ ერთადერთ პატრონს, დირექტორს ეახლნენ და მოკრძალებით შეპლაპარაკდეს:

— მამა ბატონო, საუწყებო ბინები ნაწილდება, ჩვენი მუშათა კოლექტივი თანახმაა რიგგარეშე გვარგუნონ ერთოთახიანი ბინა...

დირექტორმა ხელის გაქნევით გააჩუმა ისინი:

— გულს ნუგეში ეცით, ცოტა მაცალეთ და მერე თქვენი ხმალი ღა ჩემი კისერიო.

— იცოდეთ, სული ჩვენი თქვენს ხელო არისო — მუდარით აღმოხდა ქალიშვილს.

— ლოდინით ნუ დაგვაბერებთო, — წასცდა ვაჟს.

— მერე, მერეო, — აიხირა დირექტორმა და გამოისტვენა.

ამ ერთ „მერეს" მეორე „მერე" მოჰყვა, მეორეს — მესამე, აჩქეფებულმა სისხლმა გაზაფხულზე იძალა, ქალ-ვაჟი დაქორავებულ ბინაში შესახლდა და ზეციერ-თავზე შეიღლინა... მაგრამ ბინის არაოფიციალურმა კერძომესაკუთრულმა ქირამ ისე გაამწარა ორივე, ყვებს — ხვალვე ყველაფერს გამოვასწორებო და წამოვიდა. სერგოს არც ხვალ შეასრულა დაპირება, არც ზეგ და მაზეგ გაახსენდა მეახლძრის გაფრთხილება, ერთი კვირის შემდეგ კი ღამით გამოურთველად დატოვებულმა ქერამ ხანძარი გაჩინა და მთელი წარმოება ცეცხლში ჩაიფერფლებოდა, სახანძრო რაზმს რომ სულზე არ მოესწრო. თვალდორე სამსახურიდან გაათავისუფლეს, სერგოს კი მხოლოდ ჯარიმა აკმარეს...

„ამ, ხვალვე ყველაფერს გამოვასწორებო!" — ამოიხვნეშა თვალდორემ და თავი ჩაკოდა...

ყოფილი ინსპექტორი რომ იქ, ბაღში, თავისას წუხდა, ამ დროს ჩვენი ზღაპრის კიდევ ერთი პერსონაჟი, პენსიონერი მაერო სერგოს საბრძანებლისკენ მიეშურებოდა.

სერგო ჯერ დაბადებულიც არ ყოფილა, როდესაც ეს კაცი თურმე ამ წარმოებაში მუშაობდა. მის თვალწინ გაჭრილა ბალავერი, აშენებულა კორპუსები, მოუწყვია საამქროები. და აი, ბედის ტრაილმა მობერებული შაქროც შეახვედრა სერგოსთან ერთი პატარა ცნობის გამო, რომელიც მისთვის სახლმმართველობას მოუთხოვია.

პირველ მისვლაზე, დიდი ხნის უნახავი წარმოების წითელი აგურით ნაშენ კედლებს რომ მიუახლოვდა, მეხსიერებამ ამ კედლებს იქით გატარებული ნახევარსუკუნოვანი ცხოვრება ისე ცხადლივ დაუყენა თვალწინ, რომ მოხუცი ათრთოლდა, ერთხანს გარინდებული იდგა, მერე გულის ფსკერიდან მომზირალი თვალი შეავლო ნაცნობი ალაყაფის კარს და მის ჩრდილში გაუჩინარდა.

ვეტერან მუშას დირექტორი კაბინეტის კართან შეგებება, დიდი ამბით ჩამოურთმევია ხელი, მაგრამ როცა მისი თხოვნა მოუსმენია, უთქვამს: ხვალ გამოიარე და ცნობა გამზადებული დაგხვდებო.

მეორე დღეს შაქრო ისევ გამოცხადებულა თავის წარმოებაში, გარეუბნიდან მოსვლა ცოტა გასჭირვებია და ძალიან სწყენია, რომ გამზადებული ცნობა იმ დღესაც ვერ მიუღია — დირექტორის ხელმოწერა კალებია, ის კი სამინისტროში ყოფილა გამოძახებული, მესამედაც ამაოდ დაბრუნდა, კვლავ არ დახვედრია დირექტორი ადგილზე და აი დღეს მოქანცული ნაბიჯებით მეოთხედ მიდიოდა ქვეყნის წინაშე ვალმოხდილი მოხუცი და დროდადრო მრავალჭირნახული ადამიანის კვალობაზე ფიქრობდა:

„ცალი ფეხი სამარეში მიდგას, იქნებ არაფერშიც არ წამადგეს ის ცნობა, ღირს კი ამხელა გზაზე ჩანჩალი?!"

„კარგ მაგალითს აძლევს თანამშრომლებს! იქნებ კგონია, მე არ დაგბერდებიო?.."

„ნეტა პაპამისს, ჩემი ხნის მოხუცს, ოთხჯერ თუ მოიყვანდა ერთი პატარა ქალაღლისათვის?.."

მოხუცს წამოსიებული ქუთუთოებიდან მომზირალ თვალებში უცქი იდუმალი სითბო ჩაუდგა.

„რა ვაჟკაცი იყო ჩემი პირველი დირექტორი, ის სულგანათლებული! მოცხუნკული ოთახში იჯდა, ფართიფურთით შეხვედრა არ იცოდა, ცოტა უემურად მიგიღებდა, მაგრამ თხოვნის შესრულება თუ შეეძლო. მაშინვე შეგისრულებდა, მეორე დღისათვის არ გადგიდებდა ის კაი დედმამიშვილი".

და უნებურად სახე გაებადრა.

„ცოტა უცნაური კი იყო ის დღოცვალი... კაი, გიდი! ერთხელ ახალი წლის წინა დღეს, ბანკმა ჩვენი ხელფასი არ გასცა: დღეს არ გეკუთვნითო. გაბრაზებულიყო. ჩემი მუშები ამ ბედნიერ დღეს ცარიელი ჯიბით რომ შეხვდნენ, სახეზე როგორ ეკითხებოდო, — ეთქვა მთავრობაში. ჩვენ უკვე სახლებში ვიყავით, ბანკიდან ფული გამოეტანა, მოლარე თავის მანქანაში ჩაესვა და კარდაკარ ჩამოგვიარეო ხელფასი".

შაქროს სახეზე ღიმილი გაუქრა და დაფანტულმა წარბებმა კამარა შეკრა:

„ამ „ხვალეს" მოყვარულ უფროსს ვინ მისცა უფლება თავისი ახირებულობით გაანაწყენოს და დაამწყრალოს ცხოვრებას ადამიანები?!" — ამის გაფიქრებაზე მოხუცს ნაოჭებით დასერილ შუბლზე ერთი ღარიც დაანნდა.

ამასობაში ნაცნობ შენობას მიუახლოვდა. ნაბიჯი შეანელა და, თითქოს გზა-გზა ნაფიქრ-ნაოზრევს ჰკამებსო, ჩაიურჩულა: „ამ ხნის კაცი მოვიყარე, ღღეს გასაკეთებელი საქმის სახვალიოდ გადადება, ჩემმა მზემ, არ გამიგონიაო", — და ალაყაფის კარს იქით გაუჩინარდა.

არც თქვენ გაგიგონიათ, მკითხველო, მაგრამ, სამწუხაროდ, ასეც ხდება ხოლმე.

ზღაპარი დასრულდა. ახლა ალბათ თვითონ მიხვდებით, სად მუშაობს მთავარი გმირი და რას უწოდებენ მისნაირებს ზღაპარში კი არა, ცხოვრებაში...

არჩილ დავითიანი.

მხატვარი სტადიონზე

თ. ჩაჩავას ნახატი. **ნ. ქელეხსაშვილის ნახატი.**

ფ. ფალავანდიშვილი



ერთგული ბოლშევიკი

ფალავანდიშვილი ალექსანდრე ბესარიონის ძე — ცნობილი ინჟინერი, ქიმიკოსი-ტექნოლოგი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამეცნიერო კომიტეტის ქიმიური და მეტალურგიული მრეწველობის განყოფილების უფროსი შალვა მიხეილის-ძე შალამბერიძე.

იგი დაბადა 1909 წელს თბილისში, ცნობილი ქიმიკოსის, პროფესორ მ. ი. შალამბერიძის ოჯახში.

შ. შალამბერიძემ 1931 წელს დამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქიმიურ-ტექნოლოგიური ფაკულტეტი. შრომითი საქმიანობა დაიწყო ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში. 1927-1929 წლებში მუშაობდა პოლიტექნიკური ინსტიტუტის ზოგადი ქიმიის კათედრის ლაბორანტად, 1929-1930 წლებში — ქ. შრეკოვის (მოსკოვის ოლქი) სახელმწიფო ქიმიურ ქარხანაში ინჟინრად. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ შ. შალამბერიძე სხვადასხვა დროს მუშაობდა მოსკოვის და მოსკოვის ოლქის მსხვილ ქიმიურ საწარმოებში საამქროს უფროსად და მთავარ ინჟინრად.

საქართველოში იგი მუშაობდა ბათუმის კოფეინის ქარხნის მთავარ ინჟინრად, რესპუბლიკის „ქიმფარმრეწვის" მთავარ ინჟინრად, კვების მრეწველობის სამინისტროს საწარმოო განყოფილების უფროსად, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფარმაკოქიმიური ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ, 1965 წლიდან გარდაცვალებამდე კი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგანგო კომიტეტის ქიმიური და მეტალურგიული მრეწველობის განყოფილების უფროსად და საგანგო კომიტეტის კოლეგიის წევრი იყო. ამასთან იგი კითხულობდა ლექციებს საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. წლების განმავლობაში იყო სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე. შ. შალამბერიძის მინიჭებული ჰქონდა საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის სპატიო წოდება, მიღებული ჰქონდა მთავრობის ჯილდოები.

შესანიშნავი მოქალაქის, პატრიოტის, გამოჩენილი ქიმიკოსის, შალვა მიხეილის-ძე შალამბერძის ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგანგო კომიტეტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტი.

ჭადრაკი

ნ. გაფრინდაშვილის უპირატესობით

იუგოსლავიის ქალაქ ვრნიაჩკა-ბანიაში დაიწყო ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მსოფლიოს ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილიც მონაწილეობს.

პირველ ტურში ნ. გაფრინდაშვილი შეხვდა იუგოსლავიელ ჯულინს. პარტია გადაიდო. მსოფლიოს ჩემპიონს უკეთესი პოზიცია აქვს.

მეორე საბჭოთა მოჭადრაკემ გაესლისმა ყაიმით დაამთავრა პარტია იანსასთან (ჩეხოსლოვაკია).

ტანვაჭრობაში

„რიგა — 75"

კიდევ ორი „ოქრო" საქართველოს ტანმოვარჯიშეებს

ლატვიის დედაქალაქში დამთავრდა საერთაშორისო შეჯიბრება, რომელშიც წარმატებით გამოვიდნენ საბჭოთა ტანმოვარჯიშეები. მათ მოიპოვეს რვა პირველი ადგილი.

თბილისელმა ნინო დრონოვამ ოქროქროს მედალს მიუმატა მესამეც — მან პირველი ადგილი გაიყო ბჯენით ხტომებში ვოროშილოვგრადელ ელენე კოლესნიკოვასთან ერთად.

ვაჟთა შორის მსოფლიოს ახსოლუტური ჩემპიონი, იაპონელი სიგერუ კასამაცუ უძლიერესი იყო თავისუფალ ვარჯიშში, ორძერსა და ღერძზე, ხოლო ტაიჭზე პირველი ადგილი გაიყო ვლადიმერ ტიხონოვთან (გრუზნი).

ქართველმა ტანმოვარჯიშემ პაატა შამუგიამ ოქროს მედალი მოიპოვა ბჯენით ხტომებში. რგოლებზე საუკეთესო იყო ვ. საცრონოვი (ლვოვი).

ჰოკეი

იწყება მეორე წრე

მიუნხენის მსოფლიოს ჩემპიონატზე გათამაშების ლიდერებმა საბჭოთა ჰოკეისტებმა დაამარცხეს შვეიცის გუნდი — 4:1 და პირველი წრე დაამთავრეს 10 ქულით ამდენივე შესაძლებლობიდან.

ჩემპიონატის მეორე წრე გაიმართება დიუსელდორფში. ჩვენი ნაკრები დღეს შეხვდება აშშ-ის გუნდს. მატჩის ტელეტრანსლაცია დაიწყება 23 საათსა და 20 წუთზე თბილისის დროით.

რედაქტორი **დ. მჭედლიშვილი.**

ცეკავშირის გამგეობა, პარტიული ორგანიზაცია, ადგილობრივი კომიტეტი და აპარატის მუშაკთა კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 78 წლის ასაკში გარდაცვალა საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის ღვაწლმოსილი მუშაკი, ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე, რესპუბლიკის მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, საქართველოს სსრ ვაჭრობის დამსახურებული მუშაკი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრი

მიხეილ დიმიტრის-ძე წვერავა

და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ 380096 თბილისი-96, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეები—99-93-03, 99-03-09, პ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული—99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მოეწველობის — 93-20-84, ოფლის ძეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა ძმენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი ხასწავლებლებისა და ხელოვნების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 УЕ 03673

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ

ᲡᲘᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

12 აპრილი

პირველი პროგრამით

10.05 — ფერადი ტელევიზია. დილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — ფერადი ტელევიზია. „მოდი, ზღაპარო!" (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — „თქვენთვის მშობლებო!" (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — „შევისწავლოთ ქართული ენა", 12.15 — კინონარკვევი „ქარის ძებნაში", 12.30 — ფერადი ტელევიზია. „თქვენ გიპასუხებთ სსრ კავშირის მეცხოველეობისა და საკვებწარმოების მინისტრი კ. ბელიაკი" (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.00 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია უმაღლეს მათემატიკაში, 14.00 — „გარემო და ადამიანი", 14.40 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია მათემატიკაში, 15.45 — „ჯანმრთელობა" (გადმოცემა მოსკოვიდან), 16.15 — „კინო და კოსმოსი", 16.55 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 17.45 — სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში: „დინამო" (თბილისი) — „ლოკომოტივი" (მოსკოვი), 19.45 — „მარინე იაშვილის შემოქმედებითი საღამო, 20.30 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 21.00 — კინონარკვევი, 21.15 — სპორტული პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — ფერადი ტელევიზია. ამერიკული სატელევიზიო მხატვრული ფილმი „თავგადასავალი აფრიკაში", 23.20 — ფერადი ტელევიზია. მსოფლიოს პირველობა ჰოკეიში: სსრ კავშირი — ამერიკის შეერთებული შტატები (გადმოცემა დიუსელდორფიდან).

მეორე პროგრამით

18.05 — მხიარული კინოპროგრამა ბავშვებისათვის, 19.05 — კონცერტი, 19.45 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „კოსმოსური ღღეები" (ქართულ ენაზე), 20.40 — სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „როგორ იწრთობოდა ფოლადი" (V სერია).

ᲠᲐᲓᲘᲝ

13 აპრილი

პირველი პროგრამით

08.00 — გაზეთ „პრავდის" მოწინავე სტატია (გადმოცემა მოსკოვიდან), 08.32 — საბჭოთა კომპოზიტორების სიმღერები, 09.15 — რუსული ბალეტი „ბალეტის მიმოხილვა, 15.00 — „მეგობრობის კონცერტი" (ტრანსლაცია ერევნიდან), 15.30 — დიადი გამარჯვების 30-ე წლისთავისათვის. „გმირი ქალაქები" — ნოვოროსიისკი, 15.45 — ო. თევდორაძე. სიმღერები, 16.15 — რადიოეუროპა. საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 17.00 — „მსოფლიოს ერთი კვირის ამბები", 17.15 — მოსწავლეთათვის. „მოგზაურობა ცოდნის სამყაროში" — გარიბალდი, 18.10 — კონცერტი „თქვენი თხოვნით, მეგობრებო!", 19.35 — საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის კონცერტი, 20.00—უკანასკნელი ცნობები (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.20 — „ხუთწლედის მოწინავენი", 23.30 — ქართული მსუბუქი მუსიკა, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

12 აპრილი

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — **მოახლე ქალბატონი; ჯამბაზები;** ზოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **მეშვიდე ცა;** კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **თვალი პატიოსანი;** ვახო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — **მხიარული მელოდიები.**